CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 23 თებერვალი, 2009 წელი. №39 (2077) | ფასი 50 თეთრი

პრეს-ომბუდსმენი
A3



"ნარინჯისფერი" მოსკოვსაც გადაედო
A7

კამპანია დემიენ ჰერსტის წინააღმდეგ
A10

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ჩვენს საფარველ ჯგუფი

ვადამდელი

ბოლო დროს პოლიტიკური დისკურსის ყველაზე ხშირად ხმარებულ სიტყვად "ვადამდელი" იქცა. ვადამდელზე საუბრობენ მემარჯვენეები და მემარცხენეები, გონიერები თუ ღონიერები, თან ისე დარწმუნებით, რომ უნებლიედ ფიქრობ - "რაღაც იციან". რადგან მე ის "რაღაც" არ ვიცი, იმ კითხვებს დავსვამ, რომელიც ვადამდელის გაგონებაზე ბუნებრივად მიჩნდება. მერე, იქნებ ვინმე მადლიანისაგან ამ კითხვებზე აზრიანი პასუხი მოვისმინო და მეც გავერკვე, ვადამდელისაგან რას ველოდე, რას არა და საერთოდ, ველოდე თუ არა.

დავით აფრასიძე

არჩევნების ლეგიტიმაცია

საკმაოდ ბანალური მსჯელობით დავიწყოთ. რა ფუნქცია აქვს არჩევნებს? არჩევნები წარმომადგენლობითი დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. ჩვენ გარკვეული პერიოდით ვირჩევთ ხელისუფლებას და მას მივანდობთ ჩვენი, როგორც საზოგადოების მართვის საკითხებს. ეს იმიტომ, რომ ხუთმილიონიან მოსახლეობას ყველა საკითხის პირდაპირი წესით განხილვა და გადაწყვეტა არ შეუძლია:

გაგრძელება A2 გვერდზე

ბაკენბარდები და დისკორიტმები ომის ხურდაში

The New York Times

ოლესია ვართანიანი,
თბილისი
მაიკლ შვირცი,
მოსკოვი

AFP' 2009

გასული წლის აგვისტოში რუსეთის მიერ წარმოებული ომით დაზარალებულმა საქართველომ არჩია, რომ ჩრდილოელ მეზობელთან ფრონტი დისკომოედანზე გადაიტანოს და ევროპაში ყველაზე პოპულარულ სასიმღერო კონკურსზე იმგვარი ჰანგები ააჟღეროს, რომლებიც რუსეთის გავლენიან ლიდერ ვლადიმირ პუტინს აღიზიანებს.

ინგლისური აქცენტით შესრულებული სიმღერის სათაური "We Don't Wanna Put In" (არ გვსურს შევიტანოთ) რუსეთის პრემიერ-მინისტრის სახელზე მორგებული მახვილგონივრული კალამბურია.

ევროვიზიას - მეგაპოპულარულ და კიტჩურ ევროპულ სასიმღერო კონკურსს - ამჯერად მაისში, მოსკოვი უმასპინძლებს. საქართველოში კონკურსზე წარსადგენად სიმღერა, რომელსაც ქართული გუნდი, სახელად "სტეფანე და 3G" ასრულებს, ოთხშაბათს საღამოს შეირჩა.

გაგრძელება A4 გვერდზე

იგივენი და What Do We Wanna Do

სოფიო თოდუა

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბოლო დროს კვირა ისე არ გავა, რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის მომსწრენი არ გავხდეთ. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე გასული კვირიდან ერთი ფაქტი დამამახსოვრდა. როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გვამცნო, საქართველოს უკლებლივ ყველა სკოლამ 1921 წლის ოკუპაციას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. გვარამიას ინიციატივით, ამ დღეებში მასწავლებლებს მოსწავლეებისთვის უნდა განემარტათ, რა მოხდა იმ საშინელ წელს, ვინ დაგვიპყრო და რა შედეგები მოგვიტანა რუსების ოკუპაციამ. რადგან ეს სამინისტროს დავალება იყო, მასწავლებლებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს და ვინც როგორ შეძლო, ისე გამოეხმაურა მინისტრის დავალებას: დაიხატა პლაკატები, დაიწერა სცენარები, მოეწყო სასკოლო საღამოები და, რაღა თქმა უნდა, გასული საუკუნის მოვლენები დღევანდელობას დაუკავშირდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ იდეის გაჩენა აუცილებელობამ განსაზღვრა. როგორც ჩანს, სკოლის მოსწავლეებს კარგად არა აქვთ გაცნობიერებული, რას წარმოადგენს რუსეთი და რატომ უნდა გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო. მე, სამწუხაროდ, საბჭოთა სკოლა დავამთავრე და, ბუნებრივია, სამშობლოს სიყვარულს განსხვავებულად გვინერგავდნენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

CMYK - 1

ორი სიტყვით

ერევანი. სომხეთში ოფიციალურ ვიზატად მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანს შეხვდა. შეხვედრები გაიმართა აგრეთვე პრემიერ-მინისტრ ტიგრან სარქისიანთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ ნალბანდიანთან. **ინტერპრესნიუსი**

თბილისი. ენგურჰესზე სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერებულია. მუშა-მოსამსახურეები იმ 5 გერმანელი სპეციალისტის დაყაჩაღების ფაქტს აპროტესტებენ, რომლებიც ჰესის მესამე აგრეგატის ტექნიკურ აღჭურვაზე მუშაობენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

თბილისი. აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის მიწვევით, საქართველოს პარლამენტის დელეგაცია, პარლამენტის ვიცე-სპიკერის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარე ფრიდონ თოდუას ხელმძღვანელობით, დღეს ბაქოს ეწვევა. **პირველი**

თბილისი. დასავლეთ საქართველოში მდებარე გადამცემი ხაზის დაზიანებით გამოწვეული ძაბვის ვარდნის გამო დედაქალაქში მეტროპოლიტენის მუშაობა შეფერხდა.

თუმცა, მგზავრები გვირაბიდან უსაფრთხოდ ამოიყვანეს. **ინტერპრესნიუსი**

თბილისი. დღეს პარლამენტის ეზოში ჩატარდება ღონისძიება, რომელიც 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული იუნკერების ხსოვნას ეძღვნება. **პირველი**

რუსეთის ოკუპანტობაში გასაოცარი არაფერია

გალის რაიონში რუსმა ოკუპანტებმა დამატებითი ძალები შეიყვანეს. 180 რუსი მესაზღვრე ენგურის საზღვარს გააძლიერებს. ისინი კურირებას გაუწევენ ე.წ. კედლის პროექტის განხორციელებას. ცნობისათვის - რუსი ოკუპანტები ენგურის ხიდთან კედლის აღმართვას გეგმავენ.

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი სიახლეს ვერ ხედავს იმაში, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსი მესაზღვრეები ადმინისტრაციულ საზღვრებს აკონტროლებენ.

"ეს საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაა, თუმცა იმ დროს, როდესაც გალის რაიონის ტერიტორიას რუსი ოკუპანტები აკონტროლებენ, აქ გასაოცარი არაფერია. ეს იმ საერთო სურათის ნაწილია, რაც გალის რაიონის ტერიტორიაზე ხდება," - აცხადებს იაკობაშვილი და იქვე დასძენს, რომ "რუსეთი, ადრე თუ გვიან, საკუთარ ქმედებებზე პასუხს აგებს."

საკუთარი ინფორმაცია

ომის ექო ცხინვალში

ცხინვალში, "შანხაის" რაიონში აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც ორი ოსი მოზარდი - 10 წლის აზამატ კობესოვი და 11 წლის რომან ჯაბიევი - დაიჭრა. ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის ე.წ. შინაგან საქმეთა სამორიგეო ნაწილში აღნიშნეს, რომ სავარაუდოდ, ამოქმედდა გასული წლის ომის შემდეგ დარჩენილი ჭურვი.

აფეთქების შედეგად მოზარდები მძიმედ დაიჭრნენ და ისინი რეანიმაციაში იმყოფებიან. შემთხვევის ადგილზე ცხინვალის ე.წ. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები მუშაობენ.

ცხინვალის საავადმყოფოს მორიგე რეანიმატოლოგ ვალენტინა კუდუხოვას განცხადებით, მოზარდები საავადმყოფოში დილის 10:00 საათზე ტრავმული შოკის მდგომარეობაში მიიყვანეს.

"ისინი ამ მდგომარეობიდან გამოიყვანეს და ახლა კობესოვს ოპერაცია უტარდება, ჯაბიევი კი რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება," - განაცხადა კუდუხოვამ.

აზამატ კობესოვს მარჯვენა მტევნის მრავლობითი დაზიანება აქვს და შესაძლოა, ამპუტაცია გახდეს საჭირო.

"ორივე ბავშვს ასევე მრავლობითი დაზიანება აქვს სახის არეში, ჯაბიევს კი ორივე თვალის თერმული დამწვრობა აღენიშნება. შესაძლოა, ბავშვების ვლადიკავკაზში გადაყვანა გახდეს საჭირო," - განაცხადა კუდუხოვამ.

გუშინდელი შემთხვევის შემდეგ ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის ე.წ. პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ ცხინვალის ტერიტორიიდან აუფეთქებელი ჭურვების ამოღების ბრძანება გასცა.

ინტერპრესნიუსი

ვადამდელი

პირველი გვერდიდან

ამ საქმისთვის არც იპოდრომი გამოდგება, არც რიყე და მით უფრო, არც პარლამენტის კიბეები. პერიოდულობა არჩევნების მთავარი მახასიათებელია. ჯერ ერთი, რომ ხელისუფლებაში მყოფმა ეს ვადა არ გაიხანგრძლივოს და მეორე, რომ ხელისუფლებაში არმყოფმა ვადაზე ადრე არ დაარღვიოს ხალხსა და მოქმედ ხელისუფლებას შორის დადებული კონტრაქტი. არჩევნები კონტრაქტს ქმნის, რომელიც ორივე მხარის მხრიდან ხელშეუხებელია, თუ, ცხადია, იგი დარღვევით არ დაიდო ან თუ ხელისუფლება არ არღვევს მას სისტემურად. ყველა სხვა შემთხვევაში, ვადამდელი არჩევნები ისევე ანგრევს თამაშის წესებს როგორც დაგვიანებული არჩევნები.

ვადამდელის მომხრეები, ალბათ, იტყოდნენ, რომ ორივე მიზეზი არსებობს: 2008 წლის არჩევნები გაყალბდა (ანუ კონტრაქტი არასწორად დაიდო და იგი იმთავითვე ბათილია) და/ან 2008 წლის აგვისტოს ომით ხელისუფლებამ კონტრაქტი დაარღვია (ანუ, არსებობს საფუძველი მისი შეწყვეტის). ორივე არგუმენტი საკმაოდ არამყარია. პირველი, 2008 წლის ორივე არჩევნების გაყალბების საკითხი ისეთივე რთული დასამტკიცებელია, როგორც არჩევნების სამართლიანობისა და დემოკრატიულობის. საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები დადებითიცაა და უარყოფითიც, გააჩნია, რომელ ნაწილს წაიკითხავთ. თავისთავად ესეც პრობლემაა, მაგრამ სხვა დროს განსახილველი. მეორე არგუმენტის მიხედვით, მოქმედ ხელისუფლებას ან ომის გაჩაღებაში ვადანაშაულებთ ან ომის წაგებაში. ომის გაჩაღებაში დადანაშაულება ნიშნავს იმის დაშვებას, რომ კრემლი მშვიდობას იხვეწებოდა, სოხუმი და ცხინვალი პირდაპირ დიალოგზე მოდიოდნენ, თბილისი კი ჯიუტად უარზე იყო და სამხედრო ოპერაციას ამზადებდა. მართალია, ბოლო ხანებში გვესმის, რომ თურმე, აფხაზებთან და ოსებთან ორმხივი კონტაქტებით ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ მოსაზრებაა, რბილად რომ ვთქვათ იდეალისტური. ფაქტი კი სხვაა - 2004 წლიდან მოყოლებული რუსეთი სულ უფრო აძლიერებდა კონტროლს ორივე რეგიონზე, რაც ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებს რუსულ-ქართული დაპირისპირების შემადგენელად და არა ცვლადად აქცევდა. გაიხსენეთ, არჩევნები აფხაზეთში 2004 წელს, პასპორტების დარიგება, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რუსეთის ნაბიჯები და თუნდაც, ახლა მიმდინარე ჟენევის მოლაპარაკებები - ყველგან რუსეთის სიტყვაა გადამწყვეტი და არა სოხუმის და ცხინვალის. დავუბრუნდეთ არგუმენტებს. თუ ვაღიარებთ, რომ აგვისტოს ომი სულ მცირე რუსების მიერ დაგეგმილი პროვოკაცია მაინც იყო, საკითხავია, როგორ უნდა დაადანაშაულო ხელისუფლება რუსეთთან ომის წაგებაში? ვინმეს შეუძლია თქვას, რომ იგი არ დაუშვებდა პროვოკაციას და/ან ომს მოუგებდა რუსეთს? როგორ ფიქრობთ, რას ვიტყოდით დღეს 1921 წლის ხელისუფლებაზე, მას რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა, თუნდაც ტერიტორიების დაკარგვის სანაცვლოდ? რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს აგვისტოს ომზე. პოლიტიკური პასუხისმგებლობა ნიშნავს, რომ მას ეს გარკვეული საფასურიც დაუჯდება. ეს საფასური ნამდვილად უფრო მეტია, ვიდრე საპარლამენტო კომისიის დასკვნა ან ანტიკრიზისული საბჭოს საქმიანობა, მაგრამ საკითხავია, არის თუ არა იგი ვადამდელი არჩევნების ტოლფასი.

არჩევნების ეფექტიანობა

ვადამდელობის საკითხს არჩევნების როგორც ინსტიტუტის ეფექტიანობის, უფრო სწორად პოლიტიკური მიზანშეწონილობის თემასთან მივყავართ. ვადამდელი არჩევნები ხანდახან მართლაც საჭიროა, რათა პოლიტიკური კრიზისი განიმუხტოს. ასე იყო 2008 წლის იანვარში. სხვათა შორის, საინტერესოა როგორ მიაჩნიათ ვადამდელი არჩევნების მომხრეებს, მოხერხდა თუ არა ამ ფუნქციის შესრულება მაშინ?

სათუოა ვადამდელმა არჩევნებმა შიდაპოლიტიკური კრიზისის განმუხტვას შეუწყოს ხელი. მეტიც, თავად ვადამდელი არჩევნების თემამ შეიძლება შექმნას პოლიტიკურ კრიზისი, რადგან არჩევნები მხოლოდ პასუხია კითხვაზე "ვინ მართოს" და არა იმ პრობლემებზე, რომელიც არჩევნებამდეც არსებობს და მის მერეც იარსებებს.

დღეს შეიძლება დავუშვათ, რომ ვადამდელი არჩევნები საჭიროა ძირითადად საგარეოპოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად. კერძოდ, არსებობს მოსაზრება, რომ მოქმედ ხელისუფლებას გაუჭირდება რუსეთთან მოლაპარაკებების წარმოება. ასევე, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპული ქვეყნებისთვის, ალბათ, უფრო კომფორტული იქნება საქართველოს ახალ ხელმძღვანელობასთან ჰქონდეთ საქმე. მოდით, დავუშვათ, რომ საქართველოს ახალი პრეზიდენტი და ახალი პარლამენტი ჰყავს. ახლა დავფიქრდეთ, რას შეცვლის ეს? რა არსებით ცვლილებას მოიტანს ახალი ქართველი ლიდერის და მედვედევ-პუტინის პირდაპირი შეხვედრების თუნდაც მთელი სერია? (ცხადია, ვგულისხმობ, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის კაპიტულაციას არ გამოაცხადებს) რაც შეეხება ფაქტობრივ კონტაქტებს, ეს კონტაქტები ისედაც არსებობს, თუნდაც იგივე ჟენევის ფორმატში. ევროპელებთან მიმართებაში შეიძლება მართლაც ჰქონდეს გარკვეული უპირატესობა ე.წ. "სუფთა ფურცლიდან" დაწყებას. თუმცა, პირველი ღიმილის და ხელის ჩამორთმევის მერე ისინიც ძველებურს დაუბრუნდებიან - რას ფიქრობს ვადამდელი ხელისუფლება სასამართლოს, მედიის, ადამიანის უფლებების, ეკონომიკის, სტაბილურობის, უსაფრთხოების, ნატოს და ა.შ. კუთხით? ვიცი, რასაც იტყვით - ყველა ამ პრობლემის მიზეზი ეს ხელისუფლებაა და გასაღებიც მის წასვლაშიაო. ეს კი უკვე იმდენად მარტივი კორელაციაა, რომ კიდევ უფრო მიღრმავებს ეჭვებს...

უპასუხო კითხვები

ახლა დაპირებულ კითხვებსაც დავსვამ და მაპატიეთ, რომ პასუხების გადაწერა ჩვენი პოლიტიკოსების ვერც საგაზეთო და ვერც სატელევიზიო ინტერვიუებიდან ვერ შევძელი.

გთხოვთ, გამცეთ პასუხი: როდის უნდა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები? კითხვა საკმაოდ ლოგიკურია, რადგან 2013 წლამდე (საპრეზიდენტო) და 2012 წლამდე (საპარლამენტო) ყველა არჩევნები ვადამდელი იქნება. თუ არჩევნები წელს (2009) უნდა ჩატარდეს, რას აკეთებთ საარჩევნო კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად? აბა მედია დახურულიაო - როგორ მოასწრებთ ამ პრობლემის რამდენიმე თვეში მოგვარებას? რას (პროგრამებს ვგულისხმობ) სთავაზობთ ამომრჩეველს და მოასწრებთ კი საერთოდ რაიმეს შეთავაზებას?

ვინ უნდა დანიშნოს ვადამდელი არჩევნები? - პრეზიდენტი გადადგეს და არ დაავიწყდეს, რომ ოთახიდან გასვლამდე პარლამენტიც დაითხოვოს (კონსტიტუციით შეზღუდულია), პარლამენტმა თავი დაითხოვოს, 2008 წლის არჩევნები ვცნოთ ბათილად და, აქედან გამომდინარე, ყველა გადაწყვეტილება, რაც ამ პარლამენტს თუ მთავრობას მიუღია გავანულოთ? როგორ გავარკვიოთ, რას ფიქრობს ხალხი ვადამდელ არჩევნებზე? პლებისციტით, მიტინგებზე მოსულთა რაოდენობის დათვლით? და საერთოდ, როგორ დავითანხმოთ ეს პარლამენტი, ეს მთავრობა, ეს პრეზიდენტი? არ მითხრათ, ამერიკელები წაიყვანენო ... რა მოხდება, თუ დემონსტრაციებზე საკმარისი რაოდენობის ხალხი არ მოვიდა (ან რამდენია ეს "საკმარისი"), თუ დემონსტრაციებმა ხელისუფლებაზე არ იმოქმედა? პირდაპირ მითხარით, რევოლუციას - კი თუ არა?

ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ვადამდელ არჩევნებში? დავუშვათ, რომ არჩევნები დაინიშნა. შეეძლებათ ნაციონალებს არჩევნებში მონაწილეობის მიღება თუ მათ, ყველაზე კარგ შემთხვევაში, პოლიტიკურ საქმიანობას აუკრძალავენ? საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილი კენჭს რომ ვერ იყრის, ცხადია, მაგრამ შეეძლება თუ არა მას აგიტაცია ან საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა? რა მოხდება თუ ისინი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ და ისევ გაიმარჯვებენ? ეს შედეგი ვაღიაროთ თუ ისევ ვადამდე დავიწყოთ ყველაფერი?

ილია II - მე არ შემიძლია უთქვენოდ და თქვენ არ შეგიძლიათ უჩემოდ

"მე არ შემიძლია უთქვენოდ და თქვენ არ შეგიძლიათ უჩემოდ," - ბრძანა გერმანიიდან დაბრუნებულმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საკვირაო ქადაგებისას.

"მე მინდა, ყველას მოგახსენოთ მადლობა თქვენი ლოცვებისათვის. თქვენმა ლოცვებმა და ღვთის წყალობამ დამაბრუნა სამშობლოში. მე ვთქვი და კიდევ ვამბობ, მე არ შემიძლია უთქვენოდ და თქვენ არ შეგიძლიათ უჩემოდ. მადლობა და დიდება უფალს წყალობისათვის," - ბრძანა უწმინდესმა.

წმ. სამების საკათედრო ტაძარში პატრიარქმა საქართველოს ერთიანობასა და ქართველ ახალგაზრდებზე ისაუბრა.

"ღმერთმა ინებოს, რომ მშვიდობა, სიხარული და სიყვარული, ჩვენი ქვეყნის მთლიანობა სუფევდეს საქართველოში. ჩვენ განსაკუთრებით უნდა ვიფიქროთ ჩვენს ახალგაზრდობაზე. ის, რაც დღეს ხდება, რითიც ერთობა ქართველი ახალგაზრდობა, ეს ყველაფერი მოსულია უცხოეთიდან და ხშირ შემთხვევაში ეს დამღუპველია, - ბრძანა პატრიარქმა.

ინტერპრესნიუსი

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ბოლო დღეებში ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა სამოყვარულო ვიდეოკლიპი: რამდენიმე შეზარხოშებული ახალგაზრდა საქეიფოდ გაშლილი სუფრის ფონზე და ხმაურიანი მუსიკის თანხლებით თავდავიწყებამდე ეძლევა ცეკვას. პირადად მე ამ კლიპმა დადებითი განწყობა შემიქმნა: თუ იმ ზეიმის მონაწილე კაცები მართლაც ქართველები არიან (თავიდან რატომღაც სერბები მეგონა, ალბათ **ემირ კუსტურიცას** ფილმების გავლენით), მე მხოლოდ მივესალმები ემოციების ასეთ ხალას გამოვლენას. ბევრად უფრო გამაღიზიანებდა ლექსად წარმოთქმული სადღეგრძელოები.

მაგრამ მე არათუ უმცირესობაში, იშვიათ გამონაკლისთა შორის აღმოვჩნდი. თეორიულად ამის წარმოდგენაც შემეძლო: კამერის ობიექტად ქცეული ბიჭები ხომ "რყვნიან" წინაპართა მადლმოსილ მემკვიდრეობას, "აკნინებენ" ქართულ ტრადიციებს და ა. შ. მაგრამ უკმაყოფილო უმრავლესობა სულაც არ დგას "ტრადიციულ" პოზიციებზე, უკმაყოფილო უმრავლესობა სულ სხვა მხრიდან გამოხატავს აღშფოთებას და ამ აღშფოთების მთავარი პათოსი თვით კლიპის სათაურში ძევს: "**ქართველი ბორატის სტილი**".

ბორატი, მოგეხსენებათ, **საშა კოენის** მიერ შექმნილი კინოპერსონაჟია, ერთგვარი პოსტსაბჭოთა ველური. ფილმი ვნახე და მიმაჩნია, რომ ის თვით "დაწნულ კაცზეც" ბევრად უარესია. არა იმიტომ, რომ ყაზახებს ან, უფრო სწორად, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს წარმოადგენს, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო კუთხით, არამედ იმიტომ, რომ ამ ფილმში მოცემული ჰიპერბოლა არც ესთეტიკურად, არც ფსიქოლოგიურად და არც ანთროპოლოგიურად არ არის მოტივირებული. ერთი სიტყვით, ეს ხანგრძლივი და ოდნავ სნობური დისკუსიის საგანია, რომელიც, უნდა ვაღიარო, მაინცდამაინც არ მაინტერესებს.

მე სხვა კითხვა უნდა დავსვა: ვინ არის ქართველი ბორატი? საინტერესო იქნებოდა რაღაც "დიდი ათეულის" მსგავსი პროექტის შექმნა: "საქართველოს მცირე ათეული". მაგრამ მე ჩემს თავზე ვერც იმის პასუხისმგებლობას ავიღებ, მათ შორის მოვახდინო იერარქიული რანჟირება, ვისაც ბორატად მივიჩნევ. უბრალოდ, ქართველი ბორატის თვითმყოფადი პორტრეტისათვის რამდენიმე შტრიხი მინდა მოვხაზო...

არა, ქართველი ბორატი მაინც სულ სხვაა: ის ცხვარს არ მწყემსავს, ის "თუში მეცხვარის" გახსენებაზე მოდენილი ცრემლით ამაყობს.

მაშ ასე, დავიწყოთ. ქართველი ბორატის უმთავრესი თვისება და ძირითადი პრინციპი არის მაქსიმალიზმი და სამყაროს მიმართ, ასე ვთქვათ, ელექტროჩამრთველის მდგომარეობაში ყოფნა: ელექტროჩამრთველს ორი მდგომარეობა აქვს □ "ჩართული" და "გამორთული" □ ჰოდა, ჩვენი ეროვნული ბორატების თანახმად, რეალობაში შემავალ ნებისმიერ ფენომენს შეიძლება მივცეთ მხოლოდ ორი შეფასება □ თანაც არა უბრალოდ "კარგი" და "ცუდი", არამედ "გადასარევი" და "ამაზრზენი". სწორედ ამ პრინციპით აზროვნებს და მოქმედებს ქართველი ბორატი და ამ პრინციპის გამოყენების არეალი შესაშურად ფართოა.

აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ 20 თებერვლის ნომერში (*კოსტავას N 41 მომავალი რევოლუციის კერა?!*): "**აქციის მონაწილეთა განცხადებით, მშენებლობა საქართველოში არსებული**



ყველა კანონის დარღვევით მიმდინარეობს". არა, რომელიმე კონკრეტული კანონის რომელიმე მუხლის ერთი ან თუნდაც ორი პუნქტის დარღვევა, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. მაგრამ იგივე რიტორიკა განა მხოლოდ აღშფოთებულ მოქალაქეთა განცხადებებში იბუდებს □ იურისტებიც კი მსგავსად მეტყველებენ. საჯარო სივრცეში თუ გინახავთ ოდესმე ადვოკატი, რომელიც დაცვის რაიმე სტრატეგიას აგებს და არა პირდაპირ აცხადებს, რომ მისი კლიენტი "სრულიად უდანაშაულოა"?

გია ნოდიამაც საკმაოდ ვრცლად და ამავე დროს ნათლად მიმოიხილა და დაახასიათა ქართული "ბორატიანა" (ადრე ხომ იყო ქართული "ლენინიანა"), უფრო ზუსტად კი მისი პოლიტიკური ნაწილი 19 თებერვლის ნომერში (*მაინც რათა ვადამდელი არჩევნები?*). სტატიის ძირითადი იდეა დასაწყისშივეა მოცემული: "**ოპოზიციის დიდი ნაწილი რომ ამბობს, ვადამდელი არჩევნები გვინდაო, ეს ძალიან გასაკვირი არ არის. გასაკვირი ისაა, რომ ისინი პრაქტიკულად არ იწუხებენ თავს, ეს მოთხოვნა ასე თუ ისე საფუძვლიანი არგუმენტებით გაამაგრონ**". კაცმა რომ თქვას, გასაკვირი არც არაფერია, რადგან პოლიტიკურ ასპექტში გადატანილი ორმდგომარეობიანი რეჟიმი მხოლოდ და მხოლოდ ასეთ დილემას იცნობს: ან მიშა, ან ჩვენ. დანარჩენი განხილვის მიღმა რჩება. მათ შორის ისიც, თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს "ჩვენ".

მართალია, რომ მოცემული ვითარება ადვილად აიხსნება არგუმენტების არარსებობით და გია ნოდია ამ საკითხს მშვენივრად აშუქებს მკითხველის თვალწინ, მაგრამ აქ სხვა ბევრად უფრო ღრმა მიზეზიც არსებობს. ვითარება გასაგები გახდება, თუ **გიგა ზედანიას** სტატიას გადავიკითხავთ (17 თებერვალი, *რაციონალიზმის ანკლავი*): "**ქვეყანაში, სადაც რაციონალიზაციის დიდი და დიადი პროცესი არ განხორციელებულა, ქვეყანაში, რომელმაც გამოტოვა განმანათლებლობის ეპოქა, უნივერსიტეტებს, გარდა ცოდნის შენახვა-წარმოქმნისა, კიდევ ერთი საზოგადოებრივი ფუნქციაც აკისრიათ**

რაციონალიზმის ანკლავის ფუნქცია. ანკლავისა იმიტომ, რომ ის გარემო, რომელშიც უნივერსიტეტი არსებობს, სულაც არაა მეგობრულად განწყობილი რაციონალობის მიმართ".

ახლა კი ეს ვიკითხოთ: რატომ უნდა ეძებოს პოლიტიკოსმა რაციონალური არგუმენტები იქ, სადაც რაციონალობას ეჭვის თვალით უყურებენ?

ეს შეკითხვა მხოლოდ ერთი შეხედვითაა რიტორიკული. სინამდვილეში კი ტრაგიკულია. გია ნოდიას სტატიის დასასრულში (დაიბეჭდა 20 თებერვლის ნომერში) არის ასეთი ადგილი: "**რადიკალური ოპოზიციის უკან საზოგადოების გარკვეული ნაწილი დგას და მისი არანორმალური ქცევა სისტემის არასტაბილურობას ნიშნავს. მისი კიდევ უფრო მეტად მარგინალიზაციის ხელშეწყობა არავის ინტერესებში არ შედის**". წინამძღოლთა უგუნურება ძალიან სახიფათო შედეგის მომტანია და ქართულ "ბორატსაც" ჰეპიენდი არ ემუქრება...

აქ კი, როგორც ვხედავთ, ჩვენებური ბორატის მეორე, არანაკლებ არსებითი თვისება გამოვლინდა: იგი არათუ უბრალოდ მტრულად განწყობილია ჩვენი საზოგადოებრივი გარემოს მიმართ, არამედ ხშირად უკუღმა ატრიალებს კიდეც მას. კერძოდ, სინამდვილისადმი რაციონალური მიდგომის ერთ-ერთი მაჩვენებელი არის მსჯელობაში დეფინიციების, ანუ განმარტებების კორექტული გამოყენება. კორექტული კი იმას ნიშნავს, რომ კერძო უნდა განიმარტებოდეს ზოგადის მეშვეობით და არა პირიქით: კატა ცხოველია, საქართველო ქვეყანაა, ჭადრაკი თამაშია და ა. შ. ახლა კი ვნახოთ, რას წერს დავით ტურაშვილი: "**ჰიტის ოფიციალურ განმარტებას რომ არ დავყაბულდეთ, ჰიტი სწორედ იმას ნიშნავს, რასაც უცნობი აკეთებდა თავისი პირველი სიმღერის ჩაწერიდან დღემდე**". რატომღაც მგონია, ავტორს იმის თქმა სურდა, ჰიტის განმარტებას ნუ ვიკმარებთო. თუმცა ასეთი ახსნაც ბევრად არ შველის, მაინც ნიშნადობლივია შეცდომის ხასიათი: ყაბულს ყოფნა, ყაბულობა ქართულად დათანხმებას ნიშნავს. ჰოდა, ავტორიც იძულებულია არ დაეთანხმოს, რადგან "უცნობის" სიმღერების ჰიტებად აღიარება, ბუნებრივია, ვერ მოხერხდება, თუ თვით განმარტების იდეა არ დააყენე თავდაყირა.

ასეთი ყირამალა ცხოვრების პირობებში მართლაც ძნელი გასარკვევია, **სტეფანემ** ნიღაბი მოირგო, თუ სახე გვაჩვენა. მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: უკუღმა გადაბრუნებული რაციონალიზმის სამშობლო ბავშვობაა. მხოლოდ ბავშვმა შეიძლება მოგვცეს ასეთი განმარტება: ზღაპარი არის "ცანარქექია". აი თურმე საიდან მოდის ჩვენი ბორატ-რაციონალისტების აღფრთოვანება ბავშვობით: "**გია გაჩეჩილაძე, იგივე უცნობი ... სწორედ იმიტომ მიყვარს გამორჩეულად, რომ ძალიან ბევრი ადამიანისაგან განსხვავებით, მან დღემდე შეინარჩუნა სამყაროს აღქმის ბავშვური ნიჭი**" □ წერს დავით ტურაშვილი და ამ შემთხვევაში მისი ნამდვილად მჯერა.

მაგრამ ყოველივე რაციონალურისადმი მტრულად განწყობა თვით სინამდვილისადმი უნდობლობასა და სიცოცხლისადმი სიძულვილს ნიშნავს. გონება ხომ სამყაროსა და მასში ცხოვრების გასაგები ერთადერთი საშუალებაა. ჰოდა, საშა კოენის ბორატისაგან განსხვავებით, ქართველი ბორატი ბევრად უფრო ბორატია, რადგან ამავე დროს ბოროტიც არის. სიცოცხლის სიძულვილი მისი არსებითი ნიშანია. აი, რას წერს უკვე ცნობილი ჟურნალის, "ქვაკუთხედის" 2009 წლის თებერვლის ნომერში (გვ. 13-14) ბარაკონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარი **დავით გეგეშიძე**: "**რუსეთი თუ ჩვენი მტერია, დასავლეთის სამყარო უფრო მეტად, რამეთუ ერთი ჰკლავს ხორცს, მეორე კი სულს. ხორცის მოკვლით არ წარწყმდება ადამიანი, სულის მოკვლით მარადიულად დაიტანჯება**" □ განვმარტავთ: პირველი საძმო სასაფლაოებზე მიერეკება ჩვენს შვილებს, მეორე კი უნივერსიტეტებში. ქართველ ბორატს, რა თქმა უნდა, მეორე უფრო ეზიზღება.

სიცოცხლისადმი სიძულვილი ბუნებრივად იწვევს შიშსა და იმის შეგრძნებას, რომ ქვეყნიერება შენი მტრებითაა აღსავსე: "**რუსეთიც იარაღია უფლის ხელში ჩვენს დასასჯელად. დღევანდელი არასტაბილური რუსეთი შემაკავებელი ძალაა მართლმადიდებლების მოწინააღმდეგე მსოფლიო ბოროტებისა**".

შიში, თავისთავად, სასოწარკვეთილების პირველი საფუძველია, სასოწარკვეთილება კი მოგონილი საფრთხეებით ავსებს ქვეყნიერებას: "**დღეს მიდის ბრძოლა მართლმადიდებლობასა და მასონურ სამყაროს შორის. არ დაგავიწყდეთ, დღესაც ისე როგორც არასდროს მაცხოვრის დედულეთს უტევს სომხური მსოფლიო ლობი და ბნელი იგი ნათელს ვერასოდეს ეწევა**". არავის შეგეშალოთ, "მაცხოვრის დედულეთი" იერუსალიმი არ არის: აქ საქართველო იგულისხმება.

როგორც ვხედავთ, ქართველი ბორატის კიდევ ერთი თვისებაც აღმოვაჩინეთ: უკიდურესი ამპარტავნება და პრეტენზიულობა. აი, რას გვიმხელს გულახდილად **ქეთევან იგნატოვა** 14 თებერვლის ნომერში: "**შემიძლია დავიტრაბახო, რომ ... ჩემ ყველაზე ახლობელ მეგობართა შორის დიდ ქალბატონს (მოსწონს, ასე რომ მოვიხსენიებთ) ... ბაგრატიონ-მუხრანელს საპატიო და ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია**". ამის შემდეგ ავტორი გვეუბნება, დანარჩენს იუმორით მოგიყვებითო. როგორც ეტყობა, ფრჩხილებში მოყვანილი ფრაზა სრულიად სერიოზულად არის დაწერილი. იუმორით კი შემდეგს გვამცნობს: მეგობრის ჩვევა წარბის მრისხანედ აწევაა.

სხვათა შორის, ერთ მათემატიკის მასწავლებელს ვიცნობდი, გვარად **ვადაჭკორიას**, წარბის მრისხანედ აწევა იყო მისი ურყევი ავტორიტეტის მთავარი საფუძველი და სულ ასე წარბაწეული დააბიჯებდა დერეფნებში. იმას შვილი ჰყავდა, **ბაგრატიონი**, რომელსაც სახელიც იგივე ერქვა და ასაკითაც შეეფერებოდა. არ ვიცი, ვინ არის ქ-ნ ქეთევანის მეგობარი, მაგრამ არისტოკრატიული თვისებები ხშირად ძალიან მოულოდნელი მხრიდან ეძლევა ადამიანს და ამაში ნაკლებია დიდგვაროვანი მამის წვლილი...

ჰოდა, ეს წარბაწეული მეგობარი პატრულს გაუჩერებია გზაჯვარედინზე, რატომ გზა არ დაუთმე მთავარ გზაზე მომავალ მანქანასო. სულ ტყუილად დარდობს გია ნოდია არგუმენტების ნაკლებობას: საქართველო არგუმენტების ნამდვილი საბადოა! "დიდ ქალბატონს", მაგალითად, ასეთი აღმოაჩნდა: "**მე მეგონა, რომ ის გზა, რომელზედაც მე მოვდივარ, მექნიკურად მთავარი ხდება**".

მეორე მაგალითი: ნასვამი მეზობლის ფამილარულ ხუმრობაზე დიდი ქალბატონი წარბის აწევით მიუგებს: "□Æ□□□ ı□º □□□!". შემდეგ ვკითხულობთ: "**ხალოპს გაყვანა არ დასჭირდა, იგი რაღაცნაირად თითქოს თავისით დაპატარავდა, მხრებში მოიხარა, უკან-უკან წავიდა, ეზოში გავიდა და რამდენიმე საათის განმავლობაში იქვე მდელოზე იჯდა და ცხარე ცრემლებით ტიროდა**". გიცდიათ რამდენიმე საათის განმავლობაში ტირილი? □ ჯანდაბას, ეგ რიტორიკულ ფიგურად მივიჩნიოთ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ ნასვამ კაცს ბევრად უფრო ფაქიზი სოციალური შეგნება აღმოაჩნდა, ვიდრე "არისტოკრატებსა" და მათ "უამთააღმწერლებს". ადვილია ამ ყველაფერში სერვილიზმისა და სნობიზმის დანახვა, მაგრამ ერთიც და მეორეც რაღაცნაირი "სეკონდ ჰენდი" გამოდის. ნამდვილი პირველხარისხოვანი სნობი ალბათ სხვა ენას აირჩევდა და ასე წამოიძახებდა: "chassez le larbin!". მაგრამ ეგ ვინ გვაღირსა! ჩვენი *ვაკეპითეკები* □ როგორც საკანში მჯდომნი, ისე "სვაბოდაზე" წამოწოლილნი □ სნობიზმს ვერ ქაჩავენ, რადგან მის მაგიერ წამდაუწუმ უბრალო ახვრობა გამოსდით, ანუ როგორც დაწერილი კანონის, ასევე ყოფითი ზრდილობის უგულებელყოფა, რომელსაც რატომღაც ხან არისტოკრატულობად, ხანაც ქალაქელობად ასაღებენ.

ბორატს არ შეიძლება უყვარდეს საქართველო, დიდი-დიდი საკუთარ სახლში საქართველოს ფორმაზე გამოჭრილი აუზი უყვარდეს.

ამიტომაც არ ვეთანხმები დასაწყისში ნახსენები ვიდეოკლიპის ავტორებსა და მაყურებლებს: არ არის საქართველო ბორატის ქვეყანა. უფრო სწორად კი, ვინმეს ქართველ ბორატზე რომ ესურვა ფილმის გადაღება, ეს ფილმი ვერ იქნებოდა კომედია.

სახლები ეკომიგრანტებისთვის

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მარნეულის რაიონის სოფელ ხიხანში ხულოს რაიონიდან 59 ეკომიგრანტი ოჯახი ჩაასახლა. სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის უმრავლესობა სოფელ თხილვანადან არის, რომელიც წყალდიდობისა და მეწყერის შედეგად საცხოვრებლად სახიფათო ზონად გადაიქცა. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ხიხანში 70 სახლი აღადგინა. სახლები გადაიხურა, გარემონტდა, სოფელში გაყვანილია სასმელი წყალი და ბუნებრივი აირი. ეკომიგრანტების ხიხანში ჩასახლების პროცესს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე ბესიკ წერედიანი, ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა დეკანოიძე, ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. 59 ოჯახს სახლები სულადობის მიხედვით გადაეცათ. ოთხ და ნაკლებწევრიან ოჯახებს 3-ოთახიანი სახლები შეხვდათ, 5 და 6-წევრიან ოჯახებს - 4-ოთახიანი, ხოლო შვიდი და მეტსულიანი ოჯახებისთვის 5-ოთახიანი სახლები განაწილდა. როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის სოფელ ხიხანში მიწის ნაკვეთებიც გამოიყო. დაზარალებულ მოსახლეობას სოფელ ხიხანში ჩასახლებისას სახლებში საყოფაცხოვრებო ტექნიკაც დახვდათ. აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ კი თითოეულ ოჯახს, კომპენსაციის სახით, 1000-1000 ლარი გამოუყო.

ინტერპრესნიუსი

ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის პოზიცია

თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" არც ერთ ოპოზიციურ გაერთიანებას არ შეუერთდება. ეს გადაწყვეტილება ირაკლი ოქრუაშვილმა და მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ პარიზში შეხვედრისას მიიღეს. როგორც ეკა ბესელია აცხადებს, მისი და ირაკლი ოქრუაშვილის აზრით, "ახლა რაიმე ტიპის გაერთიანების დრო არ არის, საჭიროა მხოლოდ ხელისუფლების შესაცვლელად ოპოზიციური ძალების მიერ საერთო სტრატეგიის შემუშავება." "ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლა მთავარია ხელისუფლების წინააღმდეგ ერთიანი ძალებით ბრძოლა. რაიმე სახის ბლოკის ან თუნდაც ალიანსის შექმნამ, შესაძლოა, ისევ და ისევ ხელისუფლების წისქვილზე დაასხას წყალი," - მიიჩნევს ბესელია. მისივე აზრით, პოლიტიკური ბლოკის ან ალიანსის შექმნა მხოლოდ რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში იქნება მიზანშეწონილი. ოქრუაშვილის პარტიის გენერალური მდივანი იმასაც აღნიშნავს, რომ უახლოეს დღეებში საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ქართული ტელევიზიების ეთერში გამოჩნდება. "უახლოეს დღეებში ირაკლი ოქრუაშვილი საზოგადოებასთან და ხალხთან აქტიურ კონტაქტს დაიწყებს. მისი აზრით, უკვე დროა, ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას აქტიურად დაუბრუნდეს. ჯერ იქნება მისი სატელევიზიო გამოსვლები, თუ, რა თქმა უნდა, ტელეკომპანიები მას საკუთარი აზრით დაფიქსირების საშუალებას მისცემენ. მოგვიანებით კი მასთან დაკონტაქტების შესაძლებლობა მედიის სხვა საშუალებების წარმომადგენლებაც ექნებათ," - დასძენს ბესელია. მისივე თქმით, ირაკლი ოქრუაშვილი პარლამენტის ექს-სპიკერ ნინო ბურჯანაძის, ყოფილ პრემიერ ზურაბ ნოღაიდელისა და გაერო-ში საქართველოს ყოფილ ელჩ ირაკლი ალასანიას ოპოზიციაში გადასვლასაც ეხმიანება და აცხადებს, რომ ხელისუფლებიდან ბოლო დროს წამოსულმა მაღალჩინოსნებმა საკუთარი ოპოზიციონერობა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლით უნდა დაამტკიცონ.

პირველი

შეთანხმება ერთობლივი კვლევის შესახებ

საქართველომ, ლიტვამ, ლატვიამ, ესტონეთმა, უკრაინამ და მოლდოვამ ერთობლივი კვლევის შესახებ შეთანხმება გააფორმეს. "გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის" თავმჯდომარე თენგიზ ფხალაძის თქმით, ერთობლივი კვლევა - "რუსეთი და მისი მეზობლები 2009" - მიზნად ისახავს რუსეთის პოლიტიკის შესწავლას იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ, რომლებმაც რუსულ იმპერიალისტურ პოლიტიკას დასავლური დემოკრატია არჩიეს."ამასთან, კვლევის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა იქნება ის, თუ როგორ მუშაობს იდეოლოგიური იარაღი. გარდა ამისა, წინა პლანზე იქნება წამოწეული ეთნიკური ქართველებისა და ზოგადად დიასპორის საკითხებში არსებული პრობლემები," - აღნიშნავს თენგიზ ფხალაძე. მისივე თქმით, კვლევა ყველა აღნიშნულ ქვეყანაში იწარმოებს, პირველადი კვლევის შედეგები კი 6 თვის შემდეგ, თბილისში გამართულ კონფერენციაზე გახდება ცნობილი. დასკვნითი კონფერენცია წლის ბოლოს რიგაში გაიმართება და კვლევის საბოლოო შედეგები სწორედ იქ გამოცხადდება.

პირველი

იგივენი და What Do We Wanna Do

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ ბედნიერი საბჭოელი ბავშვებისთვის მნიშვნელოვან თარიღებს (იქნებოდა ეს 7 ნოემბერი, 23 თებერვალი თუ 1 მაისი) ზარ-ზეიმით აღნიშნავდნენ და ამ ყურით მოთრეული დღესასწაულების თანამონაწილეებს გვხდიდნენ, ამავდროულად გვაკითხებდნენ ქართველ ავტორებს, სხვათა შორის, საკმაოდ უხვად და ზერელედ, მაგრამ მაინც, საქართველოს ისტორიასაც გვასწავლიდნენ. ასე რომ, ყველაზე ცუდმა მოსწავლემაც იცოდა, რომ სიმართლე ყაზბეგის "ელგუჯაში", ილიას "მგზავრის წერილებში" ან ჯავახიშვილის "არსენა მარაბდელში" უნდა ამოეკითხა და არა იმ ლოზუნგებსა თუ პლაკატებზე, რომლებსაც პარადებზე გვაჭერინებდნენ. უნდა ვაღიარო, რომ ჩემი თაობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ღირსეულად ვერ მოიქცა, მაგრამ არც 1978 წლის 14 აპრილის და, მით უფრო, 1989 წლის 9 აპრილის დავიწყება შემიძლია. რადგან ახლა თაობებს შორის ანგარიშსწორების დრო არ არის, გულწრფელად მიხარია, თუ დღევანდელი სკოლის მოსწავლეები ჩვენზე უკეთ მიხვდებიან, რას ნიშნავს რუსული ოკუპაცია. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რა საშუალებებით მივლენ ისინი ამ დასკვნამდე, მთავარია, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და მტერს მტრის სახელი დავარქვათ.

რადგან გავარკვიეთ და, რაც მთავარია, ამაში ახალგაზრდებიც დავარწმუნეთ, რომ უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში რუსეთს ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერების მიმართ პოლიტიკა არ შეუცვლია, ანუ ის ჩვენი მტერია, ახლა უფრო სერიოზული პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი - რა გზით დავიხსნათ თავი ამ საშინელი სახელმწიფოსაგან: ომით, ჩვენი მეგობარი ქვეყნების დახმარებით, საერთაშირისო ნორმების ამოქმედებით თუ კიდევ სხვა სავარაუდო თუ ნავარაუდევი მექანიზმების ამუშავებით. ნებისმერ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც გბომბავს და განადგურებს, თუ ნორმალური ხარ, პროტესტის გრძნობა უნდა გაგიჩნდეს. ვწერ ამ სიტყვებს და ერთი ახლობელი მასწავლებლის სასოწარკვეთილი სიტყვები მახსენდება. მას კი, როცა ისიც, სხვა მასწავლებლების მსგავსად, რუსული ოკუპაციის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად ემზადებოდა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის კარგ ფოტოს დაეძებდა, მე-6 კლასელმა გოგონამ ჰკითხა: "მასწ, მასწ, ეს რუსები ჩვენი მტრები თუ არიან, სტეფანე მოსკოვში რატომ მიდის?" ეს მასწავლებელი გამომიტყდა, ამ შეკითხვის შემდეგ აღარც ქაქუცას ფოტოს ვდარდობდი (არადა, მისი შთამომავლების მოწვევა მინდოდა ჩვენს საღამოზეო) და ბავშვების ოკუპაციის მუზეუმში წაყვანის სურვილიც დამეკარგაო.

ამ გოგონას ალბათ წარმოდგენა არა აქვს, რა მოხდა 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე ქალაქ მოსკოვში. იგივე, როგორც ჩანს, მასზე ბევრად უფროსებმაც არ იციან ან იციან, მაგრამ ამ ფაქტის გახსენება არ უნდათ. იმ წელს, მოსკოვში ზაფხულის რიგით XXII ოლიმპიადა ჩატარდა, მაგრამ 64-მა ქვეყანამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადეს. ამის მიზეზი გახდა 1979 წელს საბჭოთა კავშირის შეჭრა ავღანეთში, რაც ამ ქვეყნის ოკუპაციით დამთავრდა. ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობა მაშინაც იქნებოდა - ბოლოს და ბოლოს ოლიმპიადა უზარმაზარ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მასში მხოლოდ მონაწილეობაც კი მნიშვნელოვანია ნებისმიერი სპორტსმენისათვის. ამის მიუხედავად, იმ 64 ქვეყნისთვის ზნეობრივი ფასეულობები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მატერიალური, და ეს მაშინ, როცა ლაპარაკი იყო არა რომელიმეს სამშობლოზე, არამედ ბევრისთვის სრულიად უცხო ავღანეთზე. ისინი კი, ვინც საკუთარი სახელმწიფოების ნება-სურვილს არ დაყვნენ (ასეთები ყოველთვის და ყველგან არიან), გახსნისა და დახურვის ცერემონიალზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშის ქვეშ გამოვიდნენ და დაჯილდოების ამაღელვებელ წუთებშიც ამ ორგანიზაციის ჰიმნს ააყოლეს ხმა.

ოცდაათი წლის შემდეგ, აგვისტოს ომიდან სულ რაღაც ცხრა თვეში, მოსკოვში ევროვიზიის კონკურსზე ქართველები გამოვლენ და იმღერებენ. გვარწმუნებენ, რომ სტეფანე მღებრიშვილისა და ჯგუფ 3G-ის რეპერტუარი საპროტესტო ნოტებითაა გაჯერებული; რომ მათი ერთი მეტად "მნიშვნელოვანი" ფრაზა We Don't Wanna Put In ნამდვილ შოკს გამოიწვევს; რომ გამარჯვების შემთხვევაში რუსებს კუდით ქვას ვასროლინებთ, დამარცხების შემთხვევაში კი ... მაინც დედას ვუტირებთ და როგორც ამასწინათ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი მესვეტე წერდა, ეს ყველაფერი თბილისის ქუჩებში დამონტაჟებული ვეებერთელა მონიტორების წინ გათამაშდება. ვისაც ამის სჯერა, ის ან ინფანტილიზმის უმძიმესი ფორმითაა შეპყრობილი ან ავანტიურიზმისკენაა მიდრეკილი. მათ შეუძლიათ აგვიხსნან, რატომ ვჯდებით ჩვენ და რუსები მოლაპარაკების მაგიდასთან, როცა საქმე ენგურჰესს ეხება, მაგრამ მეექვსეკლასელი გოგონას ცნობიმოყვარეობა ამით არ დაკმაყოფილდება. ასე რომ, თუ მის მიერ დასმულ შეკითხვას უპასუხოდ დავტოვებთ, ნუღარ გაგვიკვირდება, თუ მისთვის გუშინ მიწასთან გასწორებული სოფლები ხვალ მხოლოდ დანგრეული შენობები იქნება. ამის მიუხედავად, ჩვენ, ვინც დიდი ხანია საბჭოთა სკოლები დავამთავრეთ, ადრე თუ გვიან მაინც მოგვიწევს ამ უხერხულ კითხვაზე პასუხის გაცემა, რომელსაც, სავარაუდოდ, სხვა მეექვსეკლასელები დაგვისვამენ: რა უფრო მეტად ფასობს - ევროვიზია და მოსკოვში გამგზავრება თუ იმ ქვეყნის დედაქალაქში ჩასვლაზე უარის თქმა, ვისი ოკუპაციაც არათუ დავაკანონეთ (შეგახსენებთ, პარლამენტმა მიიღო კანონი ოკუპაციის შესახებ), არამედ ამ სამწუხარო ფაქტის ამსახველი ფოტოებით სკოლის კედლებიც ავაჭრელეთ?

როგორც მითხრეს, მოსკოვში ქართული რესტორნები დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა იქ "შიტოგვრიტოს" სიმღერა კატეგორიულად იკრძალება. რაც შეეხება ევროვიზიის ქართველ კონკურსანტებს, ჩვენი შოუბიზნესის მიმართ ჩემი უკიდურესად სკეპტიკური დამოკიდებულების მიუხედავად, ასეთი "წარმატებისთვის" ისინიც არ მემეტებიან. აქვე დავძენ, გაცვეთილი ფრაზა, რომ ხელოვნებას ნაციონალობა არ გააჩნია, აქ არ გამოდგება, რადგან სხვაობა, როცა ვტკბებით ჩაიკოვსკის მუსიკით და როცა მონაწილეობას ვიღებთ დღეს ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსში, დაახლოებით ისეთივეა, როგორიცაა განსხვავება ჩვენსა და იმ 64 ქვეყანას შორის, ვინც ავღანეთის გამო მოსკოვის ოლიმპიადაზე არ ჩავიდა.

ბაკენბარდები და დისკორიტმები ომის ხურდაში

პირველი გვერდიდან

თბილისი რუსეთის მიერ საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის დე ფაქტო ანექსიის გამო პროტესტის გამოსახატად ზემოხსენებული კონკურსისთვის საერთოდ ბოიკოტის გამოცხადებას აპირებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველომ გადაწყვიტა, ბატონ პუტინს საპასუხო დარტყმა მხოლოდ მუსიკალური ჟესტით, პირდაპირ ქვეყნის დედაქალაქში მიაყენოს.

რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა უკვე დაიწყეს რუსეთში პატრიოტული გრძნობების გაღვივება, სადაც ანტიქართული სენტიმენტები უცვლელი რჩება იმ ომის შემდეგ, რომლის დაწყებაში საქართველოს ბრალეულობის რუსეთში ბევრს სჯერა.

"ჩემი აზრით, ეს ამორალურია. ვფიქრობ, ევროვიზიის საბჭომ და პირველი არხის ხელმძღვანელობამ უნდა აკრძალონ ეს სიმღერა, რადგან იგი ჩვენს ქვეყანას აყენებს ზიანს," - თქვა გასული წლის ევროვიზიის გამარჯვებულ დიმა ბილანის რუსმა პროდიუსერმა იანა რუდკოვსკაიამ "ეხო მოსკვის" ეთერში.

სახელმწიფოს მიერ მართული "პირველი არხი" (საუბარია "ეკ—ეს"-ზე - რედ.) კონკურსს პირდაპირ ეთერში გადასცემს. თუ საქართველო ფინალში გავა, გაუგებარია, როგორ აარიდებს ბატონ პუტინს საჯაროდ შეურაცხყოფას "პირველი არხი", რომელიც მას დიდი ხანია, ემლიქვნელება.

ქართული ჯგუფის სოლისტ სტეფანე მღებრიშვილის თქმით, მას და ჯგუფის წევრ სამ გოგონას სწორედ ასეთი რეზონანსის იმედი ჰქონდათ, როცა ეს სიმღერა წარადგინეს. მღებრიშვილი ამას, უბრალოდ, "მარკეტინგულ ხრიკს" უწოდებს.

"ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ისეთი პროექტის შექმნა, რომელიც მაქსიმალურად დიდი აუდიტორიის ყურადღების მიპყრობას შეძლებდა," - აღნიშნა 29 წლის სტეფანე მღებრიშვილმა, რომელიც YouTube video-ზე ატვირთულ კლიპში, სცენაზე დიდი შავი პარიკითა და ბაკენბარდებით მღერის, ხოლო ჯგუფის დანარჩენი სამი წევრი ე.წ. ელასტიკებსა და შორტებში გამოწყობილები ცეკვავენ დისკოს რიტმებზე, რაც "Saturday Night Fever"-თან ასოცირდება (შაბათის ღამის ციებცხელება).

"We don't wanna put in/the negative mood/is killin' the groove (ჩვენ არ გვინდა უარყოფითი მუხტის დამატება, იგი რიტმს კლავს)," - ასეთია სიმღერის ქორო მისამღერი.

მღებრიშვილის თქმით, რომელიც აგვისტოს ომის დროს რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილ ქუჩის საპროტესტო აქციებშიც მონაწილეობდა, მის იდეას "მორალური მხარდაჭერა" ზოგიერთი მინისტრისგანაც მოჰყვა.

ვლადიმირ პუტინის პრესსპიკერმა დმიტრი პესკოვმა კი სიმღერას "ხულიგნობა" უწოდა და საინფორმაციო სააგენტო "რია ნოვოსტის" განუცხადა: **"სამწუხაროა, რომ საქართველომ სიმღერის კონკურსის გამოყენება ფსევდოპოლიტიკური ამბიციების გამოსახატად გადაწყვიტა."**

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა რუსეთზე შურისძიებისთვის სასიმღერო კონკურსის გამოყენება გადაწყვიტეს.

უკრაინელმა პოპვარსკვლავმა ვერკა სერდიუჩკამ, რომელიც პუბლიკის წინაშე ძველმოდური, შუახნის ქალბატონის იმიჯით გამოდის, 2007 წლის ევროვიზიის კონკურსზე ვნებათაღელვის მთელი კასკადი გამოიწვია სიმღერით "Dancing Lasha Tumbai", რაც ბევრმა, თვით შემსრულებლის გასაოცრად, გაიგო, როგორც "Russia Goodbye."

პატიმარმა ქალმა ხელ-ფეხი გაითავისუფლა და შიმშილობა შეწყვიტა

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის სალომე მახარაძის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-5 დაწესებულებაში მყოფმა პატიმარმა ციცო საბაშვილმა შიმშილობა შეწყვიტა და ლურსმნებით მიჭედებული ხელ-ფეხი გაითავისუფლა.

ჩვენი ინფორმაციით, პატიმარმა შიმშილობა მას შემედგ შეწყვიტა, რაც ის სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა მოინახულა.

მსჯავრდებულ ციცო საბაშვილს მართლმსაჯულებამ 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საქმეში ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო, საქმის გადასინჯვივის მოთხოვნით, მან ლურსმნით ხელ-ფეხი 10 თებერვალს დაიჭედა და მშრალი შიმშილობა გამოაცხადა.

ციცო საბაშვილის საპროტესტო აქციას რამდენიმე მსჯავრდებული ქალი შეუერთდა, თუმცა, მათ შიმშილობა რამდენიმე დღეში შეწყვიტეს.

საქმე ისაა, რომ ციცო საბაშვილის ადვოკატებმა ალტერნატიული ექსპერტიზის შედეგად, ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, საქმის გადახედვის მოთხოვნით, პროკურატურას შუამდგომლობით შარშან ნოემბერში მიმართეს, რაზეც პროკურატურისგან უარი მიიღეს.

სახალხო დამცველის აპარატი კი საბაშვილის საქმეს 2002 წლიდან სწავლობს.

ომბუდსმენის აპარატის წევრებს საბაშვილის საქმე მუდმივ კონტროლზე ჰყავდათ აყვანილი და შიმშილობის პერიოდში ის რამდენჯერმე მოინახულეს.

როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, სახალხო დამცველი საბაშვილის საქმეს ახლად აღმოჩენილი გარემოებების გათვალისწინებით შეისწავლის და სპეციალურ დასკვნას მოამზადებს.

საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის 21-ე მუხლის ე ქვეპუნქტის მიხედვით, ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია შესაბამის სასამართლო ინსტანციას რეკომენდაციით მიმართოს იმ შემთხვევაში, თუკი შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სასამართლო წარმოების პროცესში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას სასამართლო გადაწყვეტილების მიღებაზე არსებითი გავლენის მოხდენა შეეძლო.

საკუთარი ინფორმაცია

ეჭვმიტანილის მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყდა

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატის მეშვეობით, კიდევ ერთი მიმდინარე სამართლებრივი დევნა ეჭვმიტანილის სასარგებლოდ დასრულდა.

ქრთამის მიცემაში ბრალდებული თურქეთის მოქალაქე იაშარ შ.-ის ინტერესებს ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი გიორგი მდინარაძე იცავდა. ბრალდებულს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

ადვოკატის აქტიური ძალისხმევის შედეგად გამოირკვა, რომ საქმეში ეჭვის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ბრალდების წაყენების საფუძვლები არ არსებობდა. შესაბამისად, გიორგი მდინარაძემ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის წინაშე დააყენა შუამდგომლობა თავის დაცვის ქვეშ მყოფი ეჭვმიტანილის იაშარ შ.-ის მიმართ დაწყებული წინასწარი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მოთხოვნით. აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

იურიდიული დახმარების სამსახური მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევს. 2009 წლის თებერვლიდან იურიდიული დახმარების სამსახური ფუნქციონირებას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში აგრძელებს.

საკუთარი ინფორმაცია

სასამართლომ ჯოზეფ კეის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე ჯოზეფ ქეის სარჩელი, მოპასუხეების ინა გუდავაძის და სხვათა მიმართ ანდერძის აღმსრულებლად აღიარების, სამკვიდროს მმართველად აღიარებისა და უფლება-მოვალეობათა შესრულებაში ხელშეშლის აღკვეთის შესახებ, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

კერძოდ, ჯოზეფ ქეის უარი ეთქვა არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის სამკვიდროს მმართველად აღიარებაზე; ჯოზეფ ქეი ცნობილ იქნა არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის ანდერძის აღმსრულებლად; მოპასუხეებს აეკრძალათ ჯოზეფ კეისათვის, როგორც ანდერძის აღმსრულებლისათვის (და არა როგორც სამკვიდროს მმართველისთვის) მის უფლება-მოვალეობების შესრულებაში ხელშეშლა.

ამავე გადაწყვეტილებით, გაუქმდა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიებები, რომლითაც, მოპასუხეებს აკრძალული ჰქონდათ ნებისმიერი მოქმედების განხორციელება სამკვიდროს ან მისი ნაწილის საკუთრების, მფლობელობის, ან სხვა უფლებით მიღებასთან ან ნებისმიერი სხვა პირისათვის გადაცემასთან დაკავშირებით.

სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით:

1. სასამართლომ არ გაიზიარა მხარეთა მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნები, ვინაიდან, ექსპერტები საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით არ იყვნენ გაფრთხილებული მათი დასკვნების გამო შესაძლო პასუხისმგებლობის შედეგებზე.

2. ჯოზეფ ქეისთვის ანდერძის აღმსრულებლის სტატუსის მინიჭებისას სასამართლო დაეყდნო საქმეში წარმოდგენილ ჰააგის კონვენციის შესაბამისად, აპოსტილით დამოწმებული სახით წარმოდგენილ ასლს არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის მიერ 2007 წლის 14 ნოემბერს გაცემულ აქტს "ქონების აღმასრულებელი მმართველის დანიშვნის შესახებ", რასაც აქვს დედნის ძალა.

3. ჯოზეფ ქეის სამკვიდროს მმართველად დანიშვნის შესახებ უარი ეთქვა იმის გამო, რომ რომ არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის მიერ 2007 წლის 14 ნოემბერს გაცემული მეორე დოკუმენტით - "ნების გამოვლენის წერილით" სამკვიდროს მმართველად დანიშნულ იქნა იურიდიული პირი - JWL Entertainment Group, Inc-ი და არა თვით ჯოზეფ ქეი. მართალია, ამ იურიდიული პირის დამფუძნებელიცა და დირექტორიც ფიზიკური პირი ჯოზეფ ქეია, მაგრამ იურიდიულად ისინი სამართლის ორ სხვადასხვა სუბიექტს წარმოადგენენ და ერთისთვის უფლებების მინიჭება არ ნიშნავს ავტომატურად მეორესთვის იგივე უფლებების მინიჭებას.

4. ჯოზეფ ქეის ანდერძის აღმსრულებლად დანიშვნა არ გულისხმობს არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის მემკვიდრეებისთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევას. ის გარემოება, რომ მოპასუხეები, მათ შორის არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის მეუღლე, დედა და შვილები მემკვიდრეები (თანაც, პირველი რიგის მემკვიდრეები) არიან, სადავო არასდროს გამხდარა. ისინი მემკვიდრები არიან და სამკვიდრო ქონების მესაკუთრეებიც, თუმცა, რას შეადგენს სამკვიდრო ქონება ეს ამჟამინდელი დავის საგანი არ ყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახური

საავტომობილო გზებზე არსებული რეჟიმი

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბოლო ინფორმაციით, ძლიერი თოვისა და ქარბუქის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

ამავე გზის, მლეთა-კობის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

მლეთა-კობის მონაკვეთზე ავტომანქანების მიმოსვლისას იკრძალება მათი გაჩერება. აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა ხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობით და კოორდინაციით.

მეწყერული მოვლენების გამო, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 99-101 კმ-ებზე (დანისპარაული) ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია ცალმხრივი რეჟიმით.

ამავე გზის 1-99 კმ-ზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დიდთოვლობის გამო, ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 140-188 კმ-ებზე (მესტია-უშგულის მონაკვეთი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ამავე გზის 1-140 კმ-ებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დიდთოვლობის გამო, ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 37-73 კმ-ებზე (ნაქერალას უღელტეხილი) მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

აღნიშნულ მიმართულებებზე მობილიზებულია საგზაო ტექნიკა. შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად სისტემატურად მიმდინარეობს გზების გაწმენდითი სამუშაოები.

დანარჩენ გზებზე მოძრაობა თავისუფალია.

მედიანიუსი

კონტრტერორისტული ოპერაცია

რუსეთის კონტრტერორისტული სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენლებმა მახაჩკალაში მიმდინარე არაფორმალური შეიარაღებული ფორმირების "ბოევიკების" დევნის მორიგი ოპერაცია დაასრულეს.

ალბურიკენტის მიკრორაიონში მიმდინარე სპეცოპერაციის მიზანი, ომარ შეიხულაევის დაჯგუფების "ბოევიკების" აღმოჩენა და ნეიტრალიზება იყო.

რუსული საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის მსვლელობისას ლიკვიდირებულია ერთი "ბოევიკი", ხოლო მისი თანმხლები ქალი პოლიციას ჩაბარდა.

მახაჭკალაში კიდევ ერთი სპეცოპერაცია, ორი დღის წინ, ენგელსის ქუჩაზე ჩატარდა, რომელიც სამი "ბოევიკის" განადგურებით დასრულდა. ინციდენტის შედეგად სამი სამართალდამცველი დაშავდა.

სპეცოპერაციის დასრულების მიუხედავად, კონტრტერორისტული რეჟიმი გრძელდება.

ჯი-ეიჩ-ენი

რუსეთის გენპროკურორის განცხადება

რუსეთის ფედერაციის გენპროკურატურა რუსეთში სოციალური დაძაბულობის აფეთქებაზე, ეროვნულ და რელიგიური კონფლიქტების მოსალოდნელ დაწყებაზე საუბრობს. აღნიშნული განცხადება პირადად რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურორმა იური ჩაიკამ გააკეთა.

"მსოფლიოს ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე რუსეთის ფედერაციაში მოსალოდნელია სოციალური აფეთქება, რაც, არ არის გამორიცხული, ეროვნულ და რელიგიურ დაპიროპირებაში გადაიზარდოს", - აცხადებს გენპროკურორი.

მისივე თქმით, მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე ქვეყანაში სოციალური დაძაბულობა იზრდება და, შესაძლოა, ეს ფაქტორი უფრო დიდი დაპირისპირების კატალიზატორად იქცეს.

„შესაძლოა, შექმნილი ფონი რელიგიურ და ეროვნულ დაპირისპირებაში გადაიზარდოს რაც, თავისთავად, საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის კონსტიტუციურ წყობასა და სახელმწიფო უსაფრთხოებას," - ეს განცხადება რუსეთის გენპროკურორმა ფედერაციის საბჭოში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

ჯი-ეიჩ-ენი

"მაგთიკომი" განათლების სისტემის მხარდაჭერას აგრძელებს

საჯარო სკოლების ინტერნეტიზაციის პრობლემა ერთიანი სამთავრობო ქსელის პროექტის ფარგლებში გადაწყდება

„ჩვენი მთავარი მოთხოვნა - საქართველოს ყველა საჯარო სკოლისა და რესურს ცენტრის ინტერნეტიზაცია - წლების მანძილზე ვერცერთმა კომპანიამ ვერ შეასრულა. პირობა მხოლოდ და მხოლოდ „მაგთიკომმა“ დააკმაყოფილა,“ - განაცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ნიკა გვარამიამ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც „მაგთიკომთან“ გაფორმებულ ხელშეკრელებას ეძღვნებოდა. მართლაც, კომპანია უკვე წლებია მხარში უდგას განათლების სისტემას.

ანა ბოჭორიშვილი

საქართველოს ყველა საჯარო სკოლისა და რესურს-ცენტრისათვის გადაცემული „მაგთი ფიქსის“ უსადენო ტელეფონი, „სტუდენტთა“, „მასწავლებელთა“ და „მოსწავლეთა“ კლუბები, უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფი განათლების სისტემის წარმომადგენელთათვის და სხვა მრავალი ერთჯერადი აქცია - „მაგთიკომის“ მიერ საქართველოს განათლების სისტემის უმაღლესი ხარისხისა და უიაფესი კომუნიკაციით უზრუნველყოფისათვის გატარებული ღონისძიებების ისედაც გრძელ სიას ახლა უკვე საქართველოს უკლებლივ ყველა საჯარო სკოლისა და რესურსცენტრის ინტერნეტიზაციაც დაემატა. თანაც ეს ყველაფერი სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი წინასწარი ინვესტიციის გარეშე.

„სკოლები ინტერნეტში აქამდე ყოველთვის ეპიზოდურად იყო ჩართული, თანაც ძირითადად ქვეყნის იმ ნაწილში, რომელიც ინტერნეტის მაგისტრალურ სადენს მიჰყვება, რაც, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი. ინტერნეტიზირებული საგანმანათლებლო დაწერებულებები საერთო რაოდენობის 1/4-საც კი არ შეადგენდა. ახლა კი, ფასის ოპტიმალური მაჩვენებლისა და მთელი საქართველოს მოცვის კრიტერიუმის დაკმაყოფილების გამო „მაგთიკომი“ ავირჩიეთ და დარწმენებულები ვართ, ჩვენს იმედებს გაამართლებს,“ - ამბობს **ნიკა გვარამია.**

ხელშეკრულების მიხედვით, პროექტი 2011 წლის 31 აგვისტოს დასრულდება და საქართველოს უკლებლივ ყველა საჯარო სკოლისა და რესურს-ცენტრის ინტერნეტიზაცია მოხდება. თუმცა, როგორც „მაგთიკომში“ აცხადებენ, უკვე მიმდინარე წლის ბოლოსათვის, ქსელში 72 რესურსცენტრი და 500-ზე მეტი სკოლა ჩაერთვება.

პროექტი „ირმის ნახტომი“ უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება. მის ფარგლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სკოლებისა და რესურსცენტრების ინტერნეტიზაციას მრავალი სხვადასხვა კომპანია ცდილობდა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო. აქამდე ინტერნეტი მხოლოდ და მხოლოდ 500 საჯარო სკოლას მიეწოდებოდა და ისიც, მარტოოდენ დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

ზურაბ გურგენიძე, „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილე: „პროექტი, რომელიც ადრე „ირმის ნახტომის“ სახელით იყო ცნობილი, ახლა ერთიანი სამთავრობო ქსელის ნაწილი გახდა და, შესაბამისად, მისი ხორცშესხმაც „მაგთიკომს“ დაევალა.

მიმდინარე წლის ბოლომდე ინტერნეტში 600-მდე საგანმანათლებლო ობიექტს ჩავრთავთ, მათ შორის 72 რესურს ცენტრი, დანარჩენი კი, სკოლა იქნება. 2011 წლის სექტემბრისთვის კი, უკვე 2 280 ობიექტის უზრუნველყოფა მოხდება.

გამომდინარე იქიდან, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველა საჯარო სკოლის ინტერნეტიზაცია წლების მანძილზე ვერავინ შეძლო, პროექტი ბოლომდე მიიყვანა „მაგთიკომისთვის“ ღირსების საკითხია. მითუმეტეს, ერთიანი სამთავრობო ქსელის სახით ამის მშვენიერი პრეცედენტი უკვე გვაქვს. GGN-ის პირველი ეტაპის დასრულება, მიუხედავად აგვისტოში განვითარებული მოვნელებისა, 3 თვით ადრე შევძელით. დარწმუნებული ვარ, ამ პროექტსაც იგივე შემართებითა და ხარისხით განვახორციელებთ.“

საგანმანათლებლო ობიექტების ინტერნეტიზაცია ერთიანი სამთავრობო ქსელის პროექტის ფარგლებში მოხდება. შეგახსენებთ, რომ GGN-ის დანერგვა „მაგთიკომმა“ 2007 წელს დაიწყო და მიუხედავად არსებული მდგომარეობისა 3 თვით ადრე, ნაცვლად 2009 წლის თებერვლისა, 2008 წლის ნოემბერში დაამთავდა. განათლების მინისტრის განცხადებით, სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, სწორედ ამ წარმატების გამო ანდეს კომპანიას საჯარო სკოლებისა და რესურს-ცენტრების ინტერნეტით უზრუნველყოფა.

ნიკა გვარამია: „დღეს ისტორიულ დოკუმენტს მოვაწერეთ ხელი. პროექტის დასრულების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა საჯარო სკოლის ინტერნეტიზაცია მოხდება. ამ საკითხზე მუშაობა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, თუმცა, ქსელში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ 500 საჯარო სკოლის ჩართვა მოხერხდა, მაგრამ ესეც დიდ ქალაქებში. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია იმ სკოლების ინტერნეტით უზრუნველყობა, რომლებიც რეგიონებში, ცენტრიდან შორს მდებარეობს და ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის. აუცილებელია, რომ განათლება და ახალი ტექნოლოგიები რეგიონებშიც შევიდეს.

> **ნიკა გვარამია: „დღეს ისტორიულ დოკუმენტს მოვაწერეთ ხელი. პროექტის დასრულების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა საჯარო სკოლის ინტერნეტიზაცია მოხდება**

დარწმუნებული ვარ პროექტი ძალიან წარმატებული იქნება და „მაგთიკომი“ პირნათლად შეასრულებს ვალდებულებებს. თავის მხრივ, მეც ვიძლევი გარანტიას, რომ სახელმწიფო ნაკისრ მოვალეობებს არ დაივიწყებს. იმიდია, ჩვენი საერთო ძალისხმევა ქვეყანას შედეგს მოუტანს და დადებითათ იმოქმედებს მის მომავალზე.

ამ საკითხზე 2 თვე ძალიან აქტიურად ვმუშაობდით და საბოლოო ჯამში, შევარჩიეთ კომპანია, რომელის საიმედოობა ეჭვს არ იწვევს და, რაც მთავარია, ყველა კრიტერიუმით აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს. ასე რომ, 2011 წლის 31 აგვისტო ბოლო ვადაა და ამ დროისთვის, 2 ათას ორასზე მეტი საჯარო სკოლა და რესურს ცენტრი ინტერნეტში ჩაერთვება. მათ მომსახურებასა და ინტერნეტის მიწოდებას 1 წლის მანძილზე „მაგთი“ უზრუნველყოფს, შემდეგ კი, უკვე ახალი ტენდერი გამოცხადდება.

ჩვენი მთავარი მოთხოვნა, მოგვეცვა საქართველოს ყველა საჯარო სკოლა და რესურს ცენტრი ვერცერთმა კომპანიამ ვერ შეასრულა, ეს პირობა მხოლოდ და მხოლოდ მაგთიკომმა დააკმაყოფილა.“

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შუამავალი კომპანიის დახმარებით მოხდება ინტერნეტის ფილტრაციაც - ისე რომ, სკოლის მოსწავლეებმა მათი ასაკისთვის შეუფერებელ ვებ-საიებზე შესვლა ვერ შეძლონ.

„სკოლების ქსელში ჩართვის თანამიმდევრობა თავად განათლების სამინისტრომ განსაზღვრა. წლის ბოლოსთვის, დიდ ქალაქებში მდებარე 600-მდე საგანმანათლებლო ობიექტს მოვიცავთ, მაღალმთიანი რეგიონებსა და ცენტრიდან მოშორებულ ქალაქებში მუშაობას კი, უკვე წლის ბოლოსთვის დავიწყებთ.

საწყის ეტაპზე სკოლებსა და რესურს ცენტრებს ინტერნეტს თავად „მაგთიკომი“ მიაწვდის, თუმცა, აქ ცოტა სხვა სქემა იმუშავებს. არსებობს შუამავალი კომპანია, რომელიც ინტერნეტის ფილტრაციას მოახდენს, იმ დონეზე, რომ ბავშვები არასასურველ ვებ-საიტებზე ვერ შევიდნენ. ჩვენ სწორედ ამ კომპანიას მივაწვდით ინტერნეტს და ის დინამიურად გაანაწილებს მას სკოლებში. მომსახურება, რა თქმა უნდა, „მაგთიკომის“ ხარისხის იქნება, “ - **განაცხადა ერთიანი სამთავრობო ქსელის პროექტის ტექნიკურმა მენეჯერმა დავით მუჯირიშვილმა.**

სკოლების ინტერნეტიზაციის აუცილებლობაზე თავად „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორიც საუბრობს.

„ჩემი აზრით, მთელი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელებას ვიწყებთ. დარწმუნებული ვარ, „მაგთიკომი“ ნაკისრ ვალდებულებებს ბრწყინვალედ და დროულად შეასრულებს და საბოლოო ჯამში, უმაღლესი ხარისხის ინტერნეტი საქართველოს აბსოლუტურად ყველა საჯარო სკოლას ექნება,“ - ამბობს **დევიდ ლი.**

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის,
პროფესორ ქეთევან ბარაბაძის
ხელმძღვანელობით გთავაზობთ:

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე
მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;

"ნარინჯისფერი" მოსკოვსაც გადაედო

AFP ' 2009

შაბათს მოსკოვში, ჩისტოპრუდის ბულვარზე მთავრობის გადადგომისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით რუსულმა ოპოზიციურმა მოძრაობამ "სოლიდარნოსტმა" მიტინგი გამართა.

"ბი-ბი-სი"-ს თანახმად, საპროტესტო აქციის დროს თვალშისაცემი იყო უკრაინის მაიდანის ნარინჯისფერი უხვი სიმბოლიკა. გაისმა ცოტა ხნის წინათ შექმნილი მოძრაობის ჰიმნიც - ვიქტორ ცოის სიმღერა "პერემენ!" (ცვლილებებს).

მიტინგზე სიტყვით გამომსვლელთა შორის იყო ყოფილი პრემიერი, ამჟამად კი ოპოზიციური რუსეთის სახალხო-დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელი მიხაილ კასიანოვი.

"სოლიდარნოსტის" წევრებისა და კასიანოვის მომხრეების გარდა, მიტინგზე გარი კასპაროვის გაერთიანებული სამოქალაქო ფრონტის წარმომადგენლები, მემარჯვენე ძალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების (რომლებმაც უარი თქვეს დამორჩილებოდნენ ფედერალური ხელმძღვანელობის თვითდათხოვნას), მოძრაობა "ობორონას", "სმენას", "სვობოდნიე რადიკალისა" და "ტიგრის" წევრებიც მივიდნენ. ეს უკანასკნელი ცნობილი გახდა უცხოური მარკის ავტომობილებზე იმპორტის გადასახადების ზრდის წინააღმდეგ ორგანიზებული აქციებით.

აქცია, რომელშიც, დაახლოებით, 300 პირი მონაწილეობდა, ხელისუფლების მიერ იყო სანქცირებული და სერიოზული ინციდენტების გარეშე დამთავრდა.

მილიციამ დააკავა მხოლოდ პროსამთავრობო მოძრაობა "როსია მოლოდაიას" შვიდი აქტივისტი, რომლებიც ლამობდნენ მეზობელი შენობის სახურავზე პლაკატის გაშლას წარწერით: "კმარა ნავის რყევა!"

გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა "სოლიდარნოსტ" 2008 წლის 12 დეკემბერს დაარსდა ევროპული ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების ბაზაზე.

მასში არ გაწევრიანებულან როგორც ედუარდ ლიმონოვის აკრძალული "ნაციონალ-ბოლშევიკური პარტიის" მომხრეები, ასევე ის ლიბერალები, რომლებიც ნიკიტა ბელიხისა და მარია გაიდარის მსგავსად, ამჟამინდელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მხარდაჭერით გამოდიან. აღსანიშნავია, რომ ედუარდ ლიმონოვის "ნაციონალ-ბოლშევიკური პარტია" წარსულში უცვლელი მონაწილე იყო "მოწინააღმდეგეთა მარშისა".

"სოლიდარნოსტის" მთავარი ორგანიზატორები და მოძრაობის პროგრამის "300 ნაბიჯი თავისუფლებისკენ" შემოქმედნი არიან გარი კასპაროვი, ბორის ნემცოვი, ვალდიმირ მილოვი, ილია იაშინი და ვლადლენ მაქსიმოვი. ისინი მოძრაობის პარტიად გარდაქმნის პერსპექტივასაც არ გამორიცხავენ.

თუმცა, შაბათს მოსკოვში "ნარინჯისფერი" პროტესტი ჩისტოპრუდის ბულვარზე ერთადერთი აქცია არ ყოფილა, რადგან ცენტრში და პოდმოსკოვიეში სხვა საჯარო ღონისძიებებიც გაიმართა. ხიმკაში ქალაქის მერობის კანდიდატ ევგენი ჩირიკოვის წინასაარჩევნო მიტინგი ჩატარდა, სადაც მთავარი მოწოდებები ხიმკის ტყის გაჩეხვის შეჩერება და გასული წლის შემოდგომაზე გაზეთ "ხიმკინსკაია პრავდას" სასტიკად ნაცემი მთავარი რედაქტორის მიხაილ ბეკეტოვის მხარდაჭერა იყო. მერის არჩევნები 1 მარტსაა დანიშნული.

წითელი კარიბჭის მოედანზე მიტინგი გამართა მოძრაობა "მესტნიემ", რომლის მხარდამჭერებიც რუსული ენის არანორმატიული და კრიმინალური ლექსიკით დაბინძურებას აპროტესტებდნენ. აქციის მონაწილეები შეიარაღებულნი იყვნენ უნიტაზის ჯაგრისებით და სიმბოლურად გაწმინდეს მასზე მიწებებული მუყაოსგან დამზადებული გრძელი ენა.

თუმცა, რუსეთი ჯერ კიდევ შორსაა იმისგან, რომ მიტინგების ჩატარებას პრობლემა არ შეუქმნას. ყოველ შემთხვევაში, 21 თებერვალს საკტ-პეტერბურგში დაგეგმილი "სოლიდარნოსტის" მიტინგის გამართვა ვერ მოხერხდა.

ქალაქის მუნიციპალიტეტმა დაბლოკა ორგანიზატორების მიერ შეთავაზებული სამივე არეალი და ოპოზიციონერებს გარეუბანში შეკრებისკენ მიუთითა, რაც მოძრაობის ლიდერებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

კლინტონის პირველი ტურნე სკანდალური განცხადებებით

მარიკა იაშვილი

AFP ' 2009

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა აზიაში მოგზაურობა დაასრულა. ჰილარი კლინტონის პირველი უცხოური ვოიაჟის ბოლო წერტილად ჩინეთი იქცა. ამერიკის ყოფილი პირველი ლედის მიერ ტურნეს ფარგლებში გაკეთებულმა განცხადებებმა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანთა არაერთგვაროვანი შეფასებები დაიმსახურა, რომლებსაც ძნელად უწოდებ დადებითს. ყველაზე უკმაყოფილო კი ადამიანის უფლებათა დამცველები დარჩნენ.

აზიის ერთ-ერთ ყველაზე დიდ რესპუბლიკას - ჩინეთს - სახელმწიფო მდივანი სამი დღით ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში კლინტონმა ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებთან რამდენიმე შეხვედრა გამართა. ამერიკელი მაღალჩინოსანი ორი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ იან ცზეჩის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეთაურ ჰუ ძინტაოს და პრემიერ ვენ ძიაბოს ესაუბრა.

ვიზიტის მესამე ანუ ბოლო დღეს კლინტონმა არაპოლიტკური შეხვედრები გამართა. დღის განმავლობაში სახელმწიფო მდივანმა პეკინში მდებარე ერთ-ერთი ტაძარი მოინახულა და ამერიკის საელჩოში სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები მიიღო. კონკრეტულად კი ის მეცნიერ ქალებს, ჟურნალისტებსა და მენარმეებს შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში კლინტონი იმ პრობლემებით დაინტერესდა, რომლებთან შეჯახებაც ჩინეთში ქალებს თითქმის ყოველდღიურად უხდებათ. საუბრის ორი ძირითადი თემა კი სულ უფრო სწრაფად გავრცელებადი შიდსის ვირუსი და ქვეყნის ხელისუფლებაში მაღალჩინოსან ქალთა ძალზე მცირე რაოდენობა იყო.

იმ ღონისძიებათა სიაში, რომლებშიც სახელმწიფო მდივანმა მიიღო მონაწილეობა, ონლაინ კონფერენციაც შედის. კონფერენციის ორგანიზება ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა ჩინურმა გამოცემამ, ინგლისურენოვანმა გაზეთმა "ჩაინა დეილიმ" ითავა. "ჩაინა დეილი" ჩინეთის კომუნისტური პარტიის მთავარ ბეჭდვითი ორგანოა.

ვიზიტის განმავლობაში კლინტონმა ბევრი საინტერესო და, შეიძლება ითქვას, სკანდალური განცხადების გაკეთება მოასწრო, რომლებმაც ექსპერტებსა და პოლიტოლოგებს სერიოზული საფიქრალი გაუჩინათ.

სახელმწიფო მდივანი მთელი ტურნეს განმავლობაში დაუღალავად იმეორებდა, რომ არსებული ეკონომიკური კრიზისისა და კლიმატის ცვლილების პირობებში აუცილებელია ჩინეთსა და აშშ-ს შორის არსებული კავშირის კიდევ უფრო გამყარება.

ორ საკვანძო პრობლემას, რომლებსაც ჩინეთში ყოფნის დროს გამართული თითქმის ყველა შეხვედრა მიუძღვნა, სახელმწიფო მდივანი პირველ ადგილზე აყენებს და მიიჩნევს, რომ ისინი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამერიკასა და ჩინეთს შორის დღემდე არსებული რამდენიმე უთანხმება. "არსებულ უთანხმოებებში" კლინტონმა ტიბეტისა და ადამიანის უფლებების საკითხების მიმართ აზრთა სხვადასხვაობა იგულისხმა.

კლინტონის ასეთმა გამოსვლებმა ვაშინგტონელთა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. პრესაში უკვე გაჩნდა სტატიები, სადაც სახელმწიფო მდივანს აკრიტიკებენ.

კონსერვატიულ გაზეთ "ვაშინგტონ პოსტში" კორესპონდენტი ნიკოლას კრალევი გამოთქვამს აზრს, რომ კლინტონმა ბევრ ადამიანს გაუჩინა თავსატეხი: **"ვაშინგტონში სახელმწიფო მდივანს დაბნეული ექსპერტები, განრისხებული ადამიანის უფლებათა დამცველები და დიპლომატები ელიან, რომელთაც ბოლომდე ვერ გაურკვევიათ, თუ როგორ უნდა მიუდგნენ კლინტონის მიერ გაკეთებულ ზოგიერთ განცხადებას,"** - წერს ჟურნალისტი.

ანალიტიკოსების გაოცება კლინტონის მიერ სეულში ვიზიტის დროს გაკეთებულმა განცხადებებმა გამოიწვია. აზიური ტურნეს ფარგლებში სახელმწიფო მდივანმა სამხრეთ კორეა მოინახულა, სადაც ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთობებზე და ფხენიანში მთავრობის მოსალოდნელ შეცვლაზე ილაპარაკა.

სამთავრობო ცვლილებები ჩრდილოეთ კორეაში ის საკითხია, რომელზე სახალხოდ საუბარსაც პოლიტიკოსები ერიდებიან, თუმცა კლინტონი ოფიციალურ ფხენიანთან ურთიერთობის გამწვავებას არ მოერიდა და ამ მნიშვნელოვან, მაგრამ რთულ საკითხზე ღიად იმსჯელა. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის გამოსვლებს სამხრეთ კორეის პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ადგილობრივი გაზეთები სკანდალური სათაურების მქონე სტატიებით აჭრელდა.

ყველაზე უკმაყოფილო ჰილარი კლინტონის მიერ ჩატარებული ტურნეთი მაინც ადამინის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები დარჩნენ. მათი რისხვა კი იმან გამოიწვია, რომ კლინტონმა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საკმარისი ძალისხმევა არ გამოიჩინა და ეს საკითხი მეორეხარისხოვნად მიიჩნია.

თუმცა კლინტონის ასეთი დამოკიდებულება, შეიძლება ითქვას, მოულოდნელი არც ყოფილა. სახელმწიფო მდივანი ჯერ კიდევ ტურნეს დაწყებამდე აცხადებდა, რომ ადამიანის უფლებები მნიშვნელოვანია, თუმცა მან ხელი არ უნდა შეუშალოს ორ ქვეყანას შეთანხმების მიღწევისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიც ეკონომიკა და კლიმატური ცვლილებებია.

სახელმწიფო მდივნის ასეთი პოზიციის გამო თავისი უკმაყოფილება ოფიციალურად უკვე დააფიქსირეს ორგანიზაციებმა "საერთაშორისო ამნისტიამ" და "ჰიუმან რაითს უოთჩმა."

IVERIA MOTORS

Great Wall

SO COOL

Pick up 4X4

ძრავი: 2.7 დიზელი
საწვავის ხარჯი
100 კმ-ზე: 9-10 ლ.
კონდიციონერი,
მინების ელ.ამწე,
საჭის გამაძლიერებელი
RADIO CD
ცენტრალური საკეტი
გარანტია: 2 წელი

ფასი (განბაჟებით): 17500 USD

დაგვიკავშირდით: მტკვრის მარცხენა სანაპირო გუდაუთის№7
Tel: 34-12-67 34-60-03 34-16-50

განცხადება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2009 წლის 18 თებერვალს გამოქვეყნებული სატენდერო განცხადება სამშენებლო და კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე ცხადდება ძალადაკარგულად.

სატენდერო კომისია

CMYK - 8

აიცილეთ კურსის ცვალებადობის რისკი!

გახსენით
პოვვერტირებადი ანაბარი
ბანკ “რესპუბლიკაში”!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

CMYK - 8

CMYK - 9

თქვენი ანაბრის ვალუტის კურსი ეცემა?

კონვერტირებადი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, გადაიტანოთ თქვენი დანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩუნოთ ანაბარზე დაგროვილი სარგებელი.

თუ გახსნილი გაქვთ კონვერტირებადი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში":

- ანაბარზე განთავსებულ თანხას გაანალდებთ ნებისმიერი ვალუტით
- მიიღებთ მალალ სარგებელს – 14%-მდე
- ხართ მსოფლიო საბანკო ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალის" პატივცემული მეანაბრე

კონვერტირებადი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

თბილისის ფილიალების ქსელი

სათავო ოფისი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
ცენტრალური ფილიალი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
დელისის ფილიალი	ალ. ყაზბეგის გამზ. 47	312161
სადგურის ფილიალი	რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია	910600
დიდუბის ფილიალი	წერეთლის გამზ. 10	345556
ჰეკინის ფილიალი	ჰეკინის გამზ. 28	433355
გლდანის ფილიალი	ხიზანიშვილის ქ. 20	590550
ისნის ფილიალი	ნავთლუღის ქ. 6/2	243737
ფალიაშვილის ფილიალი	ფალიაშვილის ქ. 33ა	912237
ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი	ჭავჭავაძის გამზ. 13	925555
აღმაშენებლის ფილიალი	აღმაშენებლის გამზ. 112	243585
ვაჟა - ფშაველას ფილიალი	ვაჟა - ფშაველას გამზ. 71	244114
დიღმის ფილიალი	დიღმის მასივი, I კვარტალი, I ბ კორპუსი	518515
სანზონის ფილიალი	გურამიშვილის გამზ. 34	653515
ორთაჭალის ფილიალი	გორგასლის ქ. 37	723270

რეგიონების ფილიალების ქსელი

ქუთაისის ფილიალი	გრიშაშვილის ქ. 6	8(231) 58888
ბათუმის ფილიალი	ქუთაისის ქ. 6	(888 222) 32810
ბათუმის 24 საათიანი ფილიალი	გოგებაშვილის ქ.24	(888 222) 759 26
სამტრედიის ფილიალი	რაზმაძის ქ. 2	8 (211) 21353
ზუგდიდის ფილიალი	ზვ. გამსახურდიას გამზ. 34	8 (215) 50008
რუსთავის ფილიალი	მეგობრობის გამზ. 20	8 (24) 12 55 55
ფოთის ფილიალი	აღმაშენებლის ქ. 50	8 (293) 7 00 87
თელავის ფილიალი	მარჯანიშვილის ქ. 4	8 (250) 70040
სიღნაღის ფილიალი	თამარ მეფის ქ. 1	8 (255) 31037
ზესტაფონის ფილიალი	აღმაშენებლის ქ. 59	8 (292) 52512

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში: (8 22) 92 55 55

www.republic.ge

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

CMYK - 9

ლონდონის მუზეუმებმა კომპრომისს მიაგნეს

ლონდონის ნაციონალურ გალერეასა და გალერეაში „ტეიტ“ ბრიტანული სახელმწიფოს ფერწერის კოლექციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია დაცული. ამ ორმა გალერეამ კოლექციათა ქრონოლოგიურ გაყოფაზე მოილაპარაკა.

როგორც The Guardian იუწყება, მუზეუმებმა კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღეს: კოლექციათა „წყვეტა“, დაახლოებით, 1900 წლით მოხდება, მაგრამ არა მკაცრად. ანუ იმ მხატვრებისა ნამუშევრები, რომლებიც XIX საუკუნესთან უფრო მეტად ასოცირდებიან, ვიდრე XX საუკუნესთან (მონე, სეზანი, რენუარი), შეიძლება ნაციონალურ გალერეაში იყოს ექსპონირებული. არაოფიციალურად ნაციონალური გალერეა, დაახლოებით, 1900 წლამდე შესრულებული ევროპული კულტურის საცავს წარმოადგენს. „ტეიტში“ კი, 1500 წლიდან მოყოლებული დღევანდლამდე შექმნილი ბრიტანული ხელოვნების ნაწარმოებებია დაცული. 1996 წელს, როდესაც გალერეა „ტეიტს“ გაუჩნდა თანამედროვე ხელოვნების ქვეგანყოფილება, რომელიც არამხოლოდ ბრიტანულ კულტურას დაეთმო, ორი მუზეუმი შეთანხმდა, რომ გამოფენების ორგანიზებისას კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, ნაციონალური გალერეა 1900 წლით შემოიფარგლებოდა, ხოლო უფრო ადრეული ნამუშევრები კი, „ტეიტში“ გამოიფინებოდა.

თუმცა, ასეთი მკაცრი შეზღუდვა არც ერთ მუზეუმს არ აწყობდა და ისინი იძულებული გახდნენ რაღაც კომპრომისი მოეძებნათ. დასახულ მიზანს მათ ნაციონალურ გალერეაში გამოფენის, სახელწოდებით - „პიკასო: გამოწვევა წარსულს“ (Picasso: Challenging the Past), გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე მიაღწიეს.

პროექტის კურატორები შეეცადენ ეჩვენებინათ თუ როგორ უბრუნდებოდა ხოლმე პიკასო მისთვის საყვარელი ძველი ოსტატების (ელ გრეკო, ველასკესი, გოია) ნამუშევრებს, XIX საუკუნის მხატვრებს (ენგრი და დელაკრუა) თუ იმპრესიონისტებს (მანე, სეზანი).

მუზეუმების 1900 წლის შესახებ გადაწყვეტილება რომ მკაცრად ყოფილიყო დაცული, მაშინ ნაციონალურ გალერეას მსგავსი გამოფენის ორგანიზება, ცხადია, გაუჭირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ პიკასოს ლონდონური გამოფენა იმ პროექტის, სახელწოდებით - „პიკასო და მეტრები“, გაგრძელებაა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ პარიზში აჩვენეს.

2009 წლის მაისში ტოლკიენის ადრეული მოთხრობა გამოიცემა

გამომცემლობა „Houghton Mifflin Harcount“ 2009 წლის 5 მაისს გამოუშვებს ჯ.რ.რ. ტოლკიენის მიერ 1920-1930-იან წლებში დაწერილ მოთხრობას „The Legend of Sigurd and Gudrun“ („ლეგენდა სიგურდსა და გუდრუნზე“). იმ დროს ტოლკიენი ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი იყო. ეს წიგნი აქამდე არასოდეს არ გამოქვეყნებულა, აღნიშნავს „The New York Times“. მის პირველ გამოცემას კომენტარი ქრისტოფერ ტოლკიენმა, „ჰობიტის“ ავტორის ვაჟმა და გულისმბრძანებელმა, გაუკეთა.

სიგურდ ველსუნგი და გუდრუნი - სკანდივანიური მითოლოგიისა და ეპოსის პერსომაჟები არიან (გერმანულ ვარიანტში ისინი ცნობილი არიან, როგორც ზიგფრიდი და კრიმჰილდი). თავის მოთხრობაში ტოლკიენი ერთ მოთხრობაში რთავს სიგურდისა და გუდრუნის ისტორიას, ცალკეული ეპიზოდები რომლებიც გვხვდება საგებში, „სიმღერა ნიბელუნგებში“ და სხვა წყალოებში. ქრისტოფერ ტოლკიენი თანამიმდევრულად გამოსცემს მამის გამოუქვეყნებელ მემკვიდრეობას. მის მიერ უკანასკნელად რეკონსტრუირებულია - რომანი „The Children of Hurin“ („ჰურინის შვილები“) - 2007 წელს გამოვიდა.

ბრიტანულმა ბიბლიოთეკამ უიშვიათესი ეგზემპლარი შეიძინა

ბრიტანულმა ბიბლიოთეკამ (The British Library) ფუტურისტების მოძრაობის ასი წლისთავი იმით აღნიშნა, რომ ფილიპო ტომაზო მარინეტის წიგნის უიშვიათესი ეგზემპლარი შეიძინა. ეს ავტორი ამ მიმდინარეობის ფუძემდებელი და თეორეტიკოსი გახლდათ. 27 გვერდიან ტომს ასე ეწოდება: - „სიტყვა ფუტურისტულ ყნოსვით ტაქტილურ სითბურ თავისუფლებაზე“ (Parole in Liberta Futuriste Olfattive Tattili Termiche), ამის შესახებ კი ინფორმაციას The Guardian ავრცელებს. წიგნი მოიცავს მარინეტის ლექსებსა და ამ ლექსებისთვის მარინეტის მეგობრის - ტულიო დ`ალბიზოლას მიერ შესრულებულ ილუსტრაციებს.აღნიშნული შენაძენი ბიბლიოთეკას 83 ათასი ფუნტი სტერლინგი (116 ათასი დოლარი) დაუჯდა. ევროპაში ამ წიგნის მხოლოდ ორი ეგზემპლარია დაცული სახელმწიფო კოლექციებში. ლონდონის ეგზემპლარი ამერიკული ბიბლიოთეკისგან - Sackner Archive of Visual and Concrete Poetry შეიძინეს.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ავანგარდული წიგნების კოლექცია და გამოცემები, დაახლოებით, ათი ათას ტომს შეიცავს.

კამპანია დემიენ ჰერსტის წინააღმდეგ

თუ თავს მოიკლავს, გაძვირდება!

ბრიტანელი მხატვრების ჯგუფმა გახსნა ინტერნეტ-მაღაზია - „წითელი ჭინჭი ხარისათვის“ (Red Rag To A Bull), სადაც დემიენ ჰერსტის ობიექტის - „ღვთისადმი სიყვარულისთვის“ - ბრილიანტებით ინკრუსტირებულ ადამიანთა თავის ქალების პაროდიები იყიდება. ეს აქცია ჩაფიქრებულია, როგორც პასუხი ჰერსტისათვის, რომელიც თექვსმეტი წლის მოზარდს თავის ქალის ფოტოს არაკანონიერად გამოყენებისთვის მოსვენებას არ აძლევდა. ამის შესახებ ინფორმაციას გაზეთი The Independent ავრცელებს.

2008 წლის დეკემბერში ჰერსტმა აღმოაჩინა, რომ ახალგაზრდა ადამიანი, სახელად კარტრეინი (Kartrain), საკუთარი საიტის საშუალებით ყიდდა კოლაჟებს, რომლებშიც ჩართული იყო მისი ნამუშევრის - „ღვთისადმი სიყვარულისთვის“ გამოსახულება. მსოფლიო ხელოვანებაში ყველაზე გავლენიანმა ადამიანმა და ერთ-ერთმა ყველაზე ძვირადღირებულმა მხატვარმა ცოცხლებს შორის საავტორო უფლებების დარღვევის საჩივარით მხატვრებისა და დიზაინერების უფლებების დამცველ საზოგადოებას მიმართა. მან კორტრეინისგან ნამუშევრების გაყიდვიდან მოხსნა და მისთვის კოლაჟების გაყიდვით აღებული ორასი ფუნტის გადაცემა მოითხოვა.

ამ ისტორიის შემდეგ, მოძრაობა „სტაკიზმის“ დამფუძნებელმა, მხატვარმა ბილი ჩაილდიშმა, მუსიკოსმა და მხატვარმა ჯიმი კოტიმ (ერთ-ერთი დამაარსებელი ჯგუფისა - KLF - Kopyright Liberation Front), მხატვარმა და ანარქისტმა - ჯეიმ რიდიმ, რომელმაც Sex Pistols-ის ფირფიტების კონვერტები გააფორმა, გადაწყვიტეს კარტრეინის გამო შური ეძიათ და პაროდიების მაღაზია შექმნეს. Red Rag To A Bull-ის მუშვეობით მათ რამდენიმე ნამუშევრის გაყიდვით სურთ კარტრეინისთვის ორასი ფუნტი სტერლინგი გამოიმუშაონ. ამასთან, საიტით დაინტერესებულ ადამიანებს ისინი საკუთარი კოლაჟების შექმნისკენ მოუწოდებენ, რომლებიც მათ საიტის მისამართზე უნდა გადააგზავნონ. კამპანიის დევიზი კი ასეთია: „დაგვეხმარეთ ჩვენი ქუჩის ბიჭების გადარჩენაში“ (Help Save Our Street Urchins).

გაზეთი The Independent ციტირებას ახდენს ჯეიმი რიდის, რომელიც ჰერსტს „ფარისეველ და ძუნწ ჩხუბისთავს“ უწოდებს. „წუთუ მას ჯერაც ეცოტავება ყველაფერი? - კითხულობს რიდი. 2008 წელს ჰერსტს ერთმა აუქციონმა, დაახლოებით, ორასი მილიონი დოლარი მოუტანა, ხოლო 2007 წელს ინკრუსტირებული თავის ქალა ას მილიონ დოლარად გაიყიდა.

თავად ჰერსტს რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ 2008 წელს ჟურნალში - ArtReview გამოქვეყნებულ ხელოვნების სამყაროში ყველაზე გავლენიანი ადამიანების ყოველწლიური რეიტინგი, სადაც წამყვანი ადგილი სწორედ ბრიტანელმა კონცეპტუალისტმა დემიენ ჰერსტმა დაიკავა. ამ მხატვარმა უკან ჩამოიტოვა ყველაზე გავლენიანი გალერისტები და კოლექციონერები. გაზეთი The Telegraph აღნიშნავდა, რომ ჰერსტის „ბრენდი“ იმდენად ძვირადღირებულია, რომ გლობალური კრიზისის დროსაც კი მოწინავეა და მისი ღირებულება არ ეცემა: Sotheby's პერსონალურმა აუქციონმა, რომელიც გასული წლის სექტემბერში გაიმართა, მხატვარს 206 მილიონი დოლარი მოუტანა.

თუმცა, ამ ცოტა ხნის განმავლობაში, ჰერსტთან დაკავშირებით, მეორე პროექტიც განხორციელდა.

ესპანელმა მოქანდაკემ ეუგენიო მერინომ (Eugenio Merino) შექმნა ობიექტი, რომელიც დემიენ ჰერსტის თვითმკვლელობას გამოხატავს. კერძოდ: შუშის ყუთში მოთავსებულია ბრიტანელი მხატვრის მსგავსი თოჯინა, რომელიც მუხლებზე დგას და გასისხლიანებულ საფეთქელთან იარაღი აქვს მიდებული. როგორც The Daily Telegraph-ი იუწყება, ობიექტს ეწოდება 4 the Love of Go(l)d. ასეთი სახით, მასში სწორედ ჰერსტის იმ ცნობილი ნამუშევრის სახელწოდებაა გათამაშებული, რომელზეც ზემოთ აღვნიშნავდით. და კიდევ, სიტყვა Gold - ოქრო - ბრიტანელი ხომ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ მხატვრად არის მიჩნეული.

მერინო ირწმუნება, რომ ჰერსტის შემოქმედების თაყვანისმცემელია. საკუთარ ობიექტთან დაკავშირებით კი, აღნიშნავს: „ცხადია, ეს ხუმრობაა, მაგრამ ამაში მდგომარეობს პარადოქსი: თუ ჰერსტი თავს მოიკლავს, მაშინ მისი ნამუშევრები უფრო მეტად გაძვირდება“.

"ოქროს ჟოლოს" მჟავე გემო

დაასახელეს 2008 წლის ყველაზე ცუდი ფილმი, მსახიობები და რეჟისორი

ახლა, როდესაც ამ სტატიას კითხულობთ, „ოსკარის“ გამარჯვებულების შესახებ უკვე ცნობილია, ოქროს ქანდაკების ბედნიერი მფლობელების გარშემო კი ჯერაც არ შემწყდარა ფოტოპარატების ბლიცების ნათება. მათგან განსხვავებით კი სულაც არ უხარიათ „ოქროს ჟოლოს“ „გამარჯვებულებს“, რომელთა დაჯილდოვების ცერემონიალიც ტრადიციულად „ოსკარამდე“ ერთი დღით ადრე გაიმართა. მაიკ მაიერსი და პერის ჰილტონი კი წლის „ჟოლოები“ გახდნენ.



"სიყვარულის გურუ"

„ოქროს ჟოლო“ ერთადერთი კინოპრემიაა, რომელსაც არავინ აღიქვამს სერიოზულად და ცხადია ორგანიზატორებისა და პრესის გარდა არც დაჯილდოვების ცერემონიალს ესწრება ვინმე. ამასთან, ჟოლო მთლიანად სუბიექტური აზრის ნაკრებს წარმოადგენს, ანუ მხოლოდ კონკრეტული ადამიანების გემოვნებაზეა აგებული. მაგალითად, ნამდვილად უსამართლობა იყო სტივენ სპილბერგის „ინდიანა ჯონსი და ბროლის თავის ქალის სამეფოს“ ყველაზე ცუდი სიკველის ან პრიკველის ნომინაციაში გამოჩენა და „გამარჯვებაც“, მით უმეტეს, რომ 2008 წელს გამოვიდა „მუმიას“, „ხერხისა“ და „ვარსკვლავური დესანტის“ ძალიან ცუდი გაგრძელებები. ის რომ სპილბერგის ამ ნამუშევარმა მაყურებლის ანტისიმპატია, ზოგჯერ კი აგრესიაც გამოიწვია, მხოლოდ და მხოლოდ ფილმის წინა ნაწილების „ბრალია“. ინდიანა ჯონსის შესახებ გადაღებული ძველი ტრილოგია იმდენად კარგი იყო, რომ ბებერი სპილბერგისა და კიდევ უფრო ბებერი ჰარისონ ფორდის ძველ ამპლუაში გამოჩენა ველარ აიტანეს.

თუმცა „ოქროს ჟოლოს“, როგორც წესი, სრულიად სამართლიანი ვერდიქტებიც გამოაქვს ხოლმე. მაგალითად, სისულელეა შეედავო იმაში, რომ წლის ყველაზე ცუდი ფილმი „სიყვარულის გურუა“ მართალია, მასთან ერთად კიდევ არა ერთი ფილმის დასახელება შეიძლებოდა, თუნდაც „დღე, როდესაც დედამიწა გაჩერდა“ ან „იქს ფაილები: მინდა მჯეროდეს“, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მაიკ მაიერსის სცენარის მიხედვით გადაღებულმა „გურუმ“ გაიმარჯვა. სხვათა შორის, გული არც მაიერსს დასწყვიტეს და ყველაზე ცუდი სცენარისა და მამაკაცის მთავარი როლის შესრულებისთვის „დააფასეს“. ვისაც ეს ფილმი ნანახი აქვს, ალბათ დიდხანს ფიქრობდა, სად უნდა გაეცინა და სად ეფიქრა, რომ მაგარ კინოშარში იყო გახვეული. ფილმს ერთადერთი ღირსება აქვს - ჯასტინ ტიმბერლეიკის მეტად ეგზოტიკური კვებეკელი პერსონაჟი, დანარჩენი კი სრული აბსურდია და არანაირ ჟანრში არ ჯდება - პაროდიაშიც კი.

წლევანდელი „ოქროს ჟოლოს“ ნამდვილ „ტირუმფატორად“ იქცა ამ ჯილდოს მრავალწლიანი ფავორიტი პარის ჰილტონი. ეს ქერათმიანი არსება დიდი ხანია დიდ კინოში თავის დამკვიდრებას ცდილობს, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო არა თუ წესიერი როლის მოპოვება, არამედ იმდენი ჭკუაც არ ჰყოფნის, რომ ამას მიხვდეს. ჰილტონმა „ჟოლო“ „ლამაზმანი და უშნოში“ „შესრულებული“ მთავარი და „გენეტიკურ ოპერაში“ მეორეხარისხოვანი როლების შესრულებისთვის მიიღო. გარდა ამისა, ყველაზე ცუდ დუეტად აღიარეს მისი და კრისტინ ლაკინის ტანდემი „ლამაზმანსა და უშნოში“. შეგახსენებთ, რომ შარშან სამი „ჟოლო“ მიიღო ედი მერფიმაც ფილმისთვის „ნორბიტის ხრიკები“.

„გაიმარჯვა“ პირს ბროსნანმაც, რომელმაც შარშანდელ ჰიტში „მამა მია!“ მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლი შეასრულა, ხოლო ცერემონიალის ორგანიზატორებმა მისი მისამართით თანაგრძნობა გამოხატეს „აბბას“ სიმღერების შესრულების საცოდავი მცდელობისთვის. სხვათა შორის, მისი „კონკურენტი“ თვით ალ პაჩინო იყო ფილმისთვის „88 წუთი“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ცუდ რეჟისორად გერმანული წარმოშობის უვე ბოლი დაასახელეს. ეს რეჟისორი ძირითადად კომპიუტერული თამაშების მიხედვით გადაღებული ფილმებითაა ცნობილი, „პოსტალის“ გადაღების შემდეგ კი მასთან კონტრაქტის დადებას არც ერთი კინოკომპანია აღარ აპირებს. „ოქროს ჟოლოს“ ცინიზმის კულმინაცია კი ის იყო, რომ უვე ბოლმა პრიზი კინოს განვითარებაში შეტანილი „წვლილისთვისაც“ მიიღო.

დაჯილდოვების ცერემონიალის ბოლოს კი ჯილდოს დამაარსებელმა ჯონ უილსონმა აღნიშნა: „პერის ჰილტონისა და უვე ბოლის კინოკარიერა იმდენად საშინელია, რომ მათ ერთად მუშაობა უნდა სცადონ - მშვენიერი დუეტი გამოვა“. შეგახსენებთ, რომ უილსონი „ოქროს ჟოლოს“ 1981 წლიდან გადასცემს, ხოლო მის „გამარჯვებულებს“ „ოქროს ჟოლოს ფონდის“ 687 წევრი ავლენს.

სამეზობლო პოლიტიკა და ევროპის როლი

2004 წელს ბერლინში პირველად ჩატარდა ბერლინის კონფერენცია, რომელიც ევროკავშირის კულტურის პოლიტიკას ეძღვნებოდა. იმ დღიდან მოყოლებული მას პატრონაჟს უწევენ ბაროზო, სოლანა, ვაიტცეკერი - დღს ეს პროცესი მძლავრ მოძრაობად იქცა. ბერლინის კონფერენციის - ევროპის სულისთვის - სტრატეგიული ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს ახალი ევროპის პოპულარიზაციის იდეებს, მათი ერთერთი ბეჭდვითი ორგანოა ევროპა" www.euroalter.com, რომელსაც ჯგუფი ევროპული ალტერნატივები მართავს ლონდონში, გაერთიანებული სამეფო. მარტის ნომრისათვის დაიბეჭდა სტრატეგიული ჯგუფის წევრის - ლევან ხეთაგურის წერილი სამეზობლო პოლიტიკა და ევროპის როლი".

MARCH 09 THE HEIRS OF EUROPE

INSIDE / OUTSIDE

THE PREOCCUPATIONS OF A EUROPEAN 'NEIGHBOUR'

After the crisis of Summer 2008, the European Neighbourhood program in Georgia has become even more important. But beyond policy the cultural dimension cannot be forgotten.

ვერ დაგიმალავთ და გეტყვით რომ საქართველოსათვის ისევე, როგორც მთელი კავკასიისათვის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა და ამ დოკუმენტზე ხელმოწერა, განსაკუთრებით კი კულტურული თანამშრომლობის ჩართვა მის ფარგლებში ძალზედ მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნებისათვის ასევე თავად მოქალაქეთათვისაც.

ამ პროგრამამ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში.

მიუხედავად ამისა არის საკითხები, რომელსაც მხოლოდ პროგრამები ვერ მოაწესრიგებს. დადებითი პროცესი თავისთავად ევროპასთან შემდგომი ინტეგრაციაა - რაც საქართველოსათვის ისტორიული პროცესია. საქართველო როლი მოყოლებული ანტიკური სამყაროდან და ბიზანტიიდან - თავის თავს ყოველთვის მოიაზრებდა ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს ნაწილად.

ევროკავშირის მეზობლობიდან მის წევრობაზე გადასვლის პერსპექტივა საქართველოს მოქალაქეებისათვის სერიოზული სტიმულია.

მაგრამ გავკადნიერდები და ამ დადებითი ფაქტის შედეგად გამოწვეული ეიფორიის ფონზე ჩემს შეკითხვებსაც გაგიზიარებთ, რომელიც ალბათ საკუთარ თავთან გამართულ კითხვებზე აგებულ მონოლოგსა ჰგავს გადმოცემულს მცირე თავებად.

ძირითადი ღირებულებები თუ ფასი?

არის დღეს ევროპისათვის ძირითადი ფასეულობები ეგრეთწოდებული - დასავლური ფასეულობები უფრო მთავარი ვიდრე - კაპიტალი, ფული, კეთილდღეობა, ძალაუფლება?

ევროპისთვის დასავლური ღირებულებები გეოგრაფიულია თუ ზოგადსაკაცობრიო?

მე მეგონა რომ ევროპული - დასავლური ღირებულებანი - დაკავშირებული იყო სწორედ განმანათლებელთა ღირებულებებთან, რომელიც ერთიან ნაკადად ჯერ ფრანგულ რევოლუციაში და საბოლოოდ ადამიანის საყოველთაო დეკლარაციაში ჩამოყალიბდა - მაგრამ დღეს რა დადგა უფრო მაღლა ჭეშმარიტება თუ პრაგმატიზმი თუ შიში ძლიერის მიმართ? - გაიმიჯნა ერთმანეთისაგან სამყარო ინტელექტუალთა და სამყარო პრაგმატიკოს პოლიტიკოსთა, რომელთათვის ჭეშმარიტება და ადამიანთა, ანუ ქვეყნის მოქალაქეთა უფლებები არ არის უზენაესი ღირებულება.

დღეს შეიძლება როგორც პოლიტიკოსმა ვინმემ თქვას - მე ვერ შევწირავ ჩემი ქვეყნის კეთილდღეობას - სხვა ქვეყნის დასაცავად მიუხედავად იმისა, თუ სად იქნება ჭეშმარიტება, ვერ გავამტყუნებ მტყვანს იმიტომ რომ იგი ძლიერია.

პოლიტიკოსთათვის მისაღებია ე.წ. ლიდერთა ერთად ყოფნა მიუხედავად იმისა არის თუ არა ეს ზნეობრივი. მაგრამ პოლიტიკოსობა ნიშნავს თუ არა დასავლური ღირებულებების უარყოფას?

რამდენად ავალდებულებს დასავლური ღირებულებები საქართველოს მთავარობას ევროპული სტანდარტების დანერგვას და იქნება თუ არა სამეზობლო პოლიტიკა ამ ღირებულებათა სტიმულირება და მათი დამკვიდრების გარანტი?

დღევანდელი შეკითხვაა - ზნეობრიობას აქვს რაიმე ღირებულება პოლიტიკაში?

არის თუ არა ევროკავშირის პოლიტიკა ზნეობრივ ღირებულებებზე დაფუძნებული?

პრაგმატიზმი გადაფარავს თუ არა ჭეშმარიტებას?

მეზობელი მნიშვნელოვანია მაშინაც კი თუკი ის არ არის ძლიერი - შეიძლება თუ არა მეგობრობა შიშზე იყოს დაფუძნებული?

პოლიტიკოსები თუ მოქალაქეები?

რამდენადაა დღეს პოლიტიკოსების საქმიანობა დაკავშირებული მოქალაქეების მოსაზრებასთან მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა ხმით არიან ისინი პარლამენტში თუ მთავრობაში;

რამდენადაა პოლიტიკა გამჭვირვალე - არის თუ არა ქაღალდზე დაწერილი და ზეპირად წარმოთქმული პოლიტიკური განცხადებები - რეალურის ადეკვატური?

სამეზობლო პოლიტიკა ითვალისწინებს მოქალაქეთა ინტერესებს, თუ პოლიტიკური ელიტის განმტკიცებას ეხმარება?

შიში თუ თავისუფლება?

თავისუფლება თავისუფალია შიშისაგან - ევროპას არ ეშინია დღეს რუსეთის - რამდენადაა ეს დასაჯერებელი?

და კიდევ რამდენი ხანი უნდა გვეშინოდეს რუსეთის - ის არ არის მეზობელი, მას არა აქვს სამეზობლო პასუხისმგებლობა?

გახდა კი რუსეთი ქვეყანა, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა ცივილიზაციის მიმართ? გაიცვლება თუ არა ცივილიზებულობა ძალით განპირობებულ რეალობაზე? რამდენადაა დღეს უფლება დემოკრატიაზე ყველასთვის თუ არჩევით რჩეულთათვის და ვინ ღებულობს ამაზე გადაწყვეტილებებს - ერთი მეზობელი თუ მეზობელთა ჯგუფი?

ევროკავშირში არიან დიდი და პატარა წევრები;

ევროკავშირში არიან დიდი პატარა მეზობლები;

ევროკავშირში არიან ძველი და ახალი წევრები?

ევროკავშირში ყველას ერთნაირი უფლება აქვს?

როგორ დავამტკიცოთ სიმართლე?

საბჭოთა გამოცდილება გვაქვს, როცა უფროსმა ძმამ ყოველთვის ყველაფერი იცოდა.

იქნებ ახლაც ევროპელმა ექსპერტებმა იციან ყველაფერი? ძველი ექსპერტები, ძველი მექანიზმები და ახალი რეალობა...

სამეზობლო პოლიტიკის განვითარებაში რამდენად მიიღებენ მონაწილეობას ადგილობრივი ექსპერტები, თუ კვლავ უცხოელ ექსპერტთა კასტა განსაზღვრავს რა სჭირდება უმცროს ძმებს?

ეს დილემები და შეკითხვებია, შეიძლება ნაადრევი ან უკვე დაგვიანებულიც, შეიძლება სულელურიც ან კიდევ გულუბრყვილოც, უბრალოდ მეზობლებს ქვეყნების კონტექსტში ვერ აირჩევ და ვერც გადაცვლი, როგორც ერთ ოთახიან ბინას ორ ოთახიანზე, და ვერ გაიუმჯობესებ ფართის საკითხს, თუ დაპყრობა არ მოინდომე, და ვერც განცხადებას ვერ გამოაქვეყნებ ტექსტით ვარ პატარა ძველი კულტურის მქონე ქვეყანა და ვეძებ კარგ მეზობელ ქვეყანას რომელიც ჩემს დაშინებას და დაპყრობას არ მოინდომებს საუკუნეში მინიმუმ ერთხელ; ანდა კი მეზობლობა ნამდვილალ ჩიხში შევა.

იმედი

ვფიქრობ რომ სამეზობლო პოლიტიკას აქვს შანსი დაამტკიცოს რომ ევროპული ღირებულებანი ჩვენზე უბრალო - ადამიანებზე - მაღლა დგას. იგი უძლებს დროს და პოლიტიკურ ცდუნებას.

ლევან ხეთაგური
პროფესორი, დოქტორი
ევროპის კულტურის
პარლამენტის წევრი

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ვასილ ვასილის ძე კანდინსკი
(1866-1944)

XX საუკუნის სახვითი ხელოვნების ისტორიაში სხვადასხვა სტილური მიმდინარეობები თუ მხატვრული დაჯგუფებანი ერთმანეთს კალეიდოსკოპური სისწრაფით ცვლიან. აბსტრაქციონიზმი ავანგარდული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ეპოქალური ცვლილებების შემცველი მოვლენაა. ამ მხატვრულმა მიმდინარეობამ საფუძველი დაუდო ახალ ვიზუალურ თუ კონცეპტუალურ ხედვას ხელოვნებასა და ზოგადად კულტურაში.

ვასილ კანდინსკის, აბსტრაქციონიზმის ფუძემდებლისა და თეორეტიკოსის ერთ-ერთი პირველი უსაგნო ნამუშევარი ფერწერული ტილო "სურათი წრით", (ტილო, ზეთი 139X111 სმ) საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმშია დაცული. სურათი 1911 წელს გერმანიაშია შესრულებული. ტილოს მარცხენა ქვედა კუთხეში მხატვრის ხელმოწერა და თარიღია: Kandinsky 1911., სურათის ზურგზე კი - საავტორო წარწერა: ˚□□Ł□□ æ Œ□ª□□ (1-□Æ□□□□□□□□□) 1911 66/I 433.

1939 წლამდე ნამუშევარი მხატვრის ოჯახის საკუთრება იყო. 1939 წელს ის მოსკოვის ახალი დასავლური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისთვის შეიძინეს. 1939 წლიდან ვ. კანდინსკის ფერწერული ტილო საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საკუთრებაა.

კანდინსკის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებულ აბსტრაქტულ ნამუშევრებს - □იმპრესიებს", □იმპროვიზაციებსა" და □კომპოზიციებს" შორის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ნამუშევარი კონცეპტუალურ - დეკორატიული მთლიანობის იდეით ერთ-ერთი საუკეთესოა. აქ ერთმანეთს ეხამება ევროპული ახალი ხელოვნების ელემენტები და მხატვრის ნოვაციური ძიებები, რაც შედეგად იძლევა ემოციურად და ფორმალურად სრულყოფილ მხატვრულ მთლიანობას. ხაზის, ფერადოვანი ლაქის, ფორმისა და სხვა სახვითი ელემენტების გამომსახველობა, ფერწერული ზედაპირის ორნამენტული სტრუქტურა კოსმიური სტიქიის შთაბეჭდილებას ჰქმნიან. ვ.კანდინსკი რეალურობისაგან განსხვავებულ ვიზუალურ - ფერწერულ სამყაროს ჰქმნის, რომელსაც საკუთარი წესრიგი და ლოგიკა გააჩნია. ფერადოვან შეხამებათა ჰარმონია კი განსაკუთრებული მუსიკალურობის განწყობას ბადებს.

ვასილ კანდინსკის შემოქმედებასა და ზოგადად თანამედროვე ხელოვნების განვითარების ისტორიაში ამ ფერწერული ნამუშევრის მნიშვნელობასა და გამორჩეულობაზე მისდამი პროფესიონალთა განსაკუთრებული ინტერესი მეტყველებს.

კანდინსკის უსაგნო ხელოვნების კონცეფცია ამ ნამუშევარში სრულყოფილად არის რეალიზებული. ფერწერული ნამუშევარი ძსურათი წრით" სხვადასხვა დროს ექსპონირებული იყო ევროპასა და რუსეთში მოწყობილ გამოფენებზე. იგი რეპროდუცირებულია ვ. კანდინსკის 1989 წელს გამოცემულ კატალოგში. მსოფლიოს ყველა დიდ მუზეუმში ავანგარდული ხელოვნების ერთ-ერთი კორიფეს, ვასილ კანდინსკის ნამუშევრის ფლობა სამუზეუმო კოლექციის განსაკუთრებული სიმდიდრისა და მნიშვნელოვნების მაჩვენებელია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის საცავებში კი ამ შესანიშნავი შემოქმედის სამი ფერწერული ტილოა დაცული.

ნანა შერვაშიძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

პრემიერა ბათუმის დრამატულ თეატრში

24-25 თებერვალს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება სპექტაკლის ოთარ ბაღათურიას □მეფე ლირი თავშესაფარში" პრემიერა.

სპექტაკლის რეჟისორია საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ენვერ ჩხაიძე, ხოლო სცენოგრაფიის ავტორი საქართველოს დამსახურებული მხატვარი აივენგო ჭელიძე. რეჟისორის თანაშემწეა ზვიად მურვანიძე.

სპექტაკლში ძირითადად დაკავებულია ბათუმის თეატრის უფროსი თაობის წამყვანი მსახიობები, რომლებიც წლების მანძილზე ქმნიდნენ ბათუმის თეატრის ისტორიას და ბოლო პერიოდში მათ მაყურებელი სცენაზე ვერ ხედავდა.

სპექტკლში მონაწილე ყველაზე ხანდაზმული მსახიობია - საქართველოს დამსახურებული არტისტი, იუსუფ კობალაძის პრემიის ლაურეატი, 86 წლის თამარ სულხანიშვილი. ხოლო ყველაზე ახალგაზრდა მსახიობია, 11 წლის ქეთევან ხალვაში.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. მცხეთაში და მცხეთის რაიონის სოფლებში მუხრანში, საგურამოში და წეროვანში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები

სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/25-2009

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს **ქ. მცხეთაში და მცხეთის რაიონის სოფლებში მუხრანში, საგურამოში და წეროვანში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე** (ტენდერის ნომერი: **SB/IDP/CW/25-2009).**

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილოების მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

ბანკი „რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2, თბილისი, საქართველო

ბანკის კოდი: 220 101 757

სალარე ანგარიშის N: 340 800 01

საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და წერილობითი განაცხადის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე, დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 23 თებერვლიდან 10:00 საათიდან 12 მარტის 17:00 საათამდე.

3. შესყიდვის საგანი:

ქ. მცხეთაში და მცხეთის რაიონის სოფლებში მუხრანში, საგურამოში და წეროვანში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები, კერძოდ:

ქ. მცხეთაში ყოფილი ტურბაზის N1 და N2 (წერეთლის ქ. N7) კორპუსის; სოფ. მუხრანში მდებარე ორ სართულიან საცხოვრებელი სახლის; სოფ. საგურამოში მდებარე ხუთ სართულიანი საცხოვრებელი სახლის და სოფ. წეროვანში მდებარე ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოები.

სამუშაოების სასურველი ვადა შეადგენს 4 თვე.

დეტალები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
- ინფორმაცია პრეტენდენტის სამუშაო გამოცდილების შესახებ - პრეტენდენტს ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ 1 მსგავსი მოცულობისა და სირთულის სამუშაო. სამუშაოთა მოცულობა და სირთულე შედარებული იქნება ამ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებთან და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 70%-ს ფულად გამოსახულებაში (სუბკონტრაქტორის მიმართ აღნიშნული მოთხოვნა განისაზღვრება მისთვის გადასაცემი სამუშაოების ღირებულების პროპორციულად).
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების წლიური ბრუნვის შესახებ - ბოლო 3 წლის საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული მოგება-ზარალის უწყისები და საწარმოს ბალანსები. პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს მინიმუმ **4,7 მლნ.** ლარს (სუბკონტრაქტორის მიმართ აღნიშნული მოთხოვნა განისაზღვრება მისთვის გადასაცემი სამუშაოების ღირებულების პროპორციულად. თუმცა, არ მოხდება პრეტენდენტისა და სუბკონტრაქტორის ბრუნვების დაჯამება).

5. დაფინანსების წყარო: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

6. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და იხილონ საკონკურსო დოკუმენტები მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 23 თებერვლიდან, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

7. სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია ტენდერის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში.

8. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმის მიხედვით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ერთ დალუქულ კონვერტში **2009 წლის 13 მარტის 15:00 საათამდე**, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

10. სატენდერო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2009 წლის 13 მარტის 15:00 საათზე**, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

11. 2009 წლის 13 მარტის 15:00 საათის შემდეგ შემოსული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი
მისამართი: მესამე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო,
ტელ: +995 32 48 45 09; 48 45 10; 48 45 11; 48 45 15
ფაქსი: +995 32 48 45 55
ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge
ინტერნეტ-გვერდი: www.mdf.org.ge

საგზაო-სამშენებლო კომპანია შპს. ბლექ სი გრუპი” აცხადებს შემდეგ ვაკანსიებს

1. **ტოპოგრაფი** - მამაკაცი, ხელფასი 1200 ლარი topograpi@gmail.com
2. **ინჟინერ-ეკონომისტი** - /2 ვაკანსია/ პროფილი : საგზაო-სამშენებლო, ინგლისური ენის ცოდნა, გამოსაცდელი ვადის პერიოდში 700 ლარი, შემდგომ 1500 ლარი. engineereconomist@gmail.com
3. **პროექტის მენეჯერი** - გამოცდილება საგზაო მშენებელოს სფეროში მინიმუმ 5 წელი, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, ინგლისური ენის ცოდნა, 3000 ლარი proektismenejeri@gmail.com
4. **საგზაო საქმეთა მწარმოებელი** - 3 ვაკანსია, - გამოცდილება საგზაო მშენებელოს სფეროში მინიმუმ 3 წელი, 750 ლარი 3 თვე საცდელი ვადის პერიოდში, ხელფასის ზრდის პერსპექტივით. prarabi1@gmail.com
5. **საგზაო საქმეთა მწარმოებლის თანაშემწე** - 3 ვაკანსია, - გამოცდილება საგზაო მშენებელოს სფეროში მინიმუმ 3 წელი, 450 ლარიდან prarabisdamxmare@gmail.com
6. **წარმოების დირექტორი** - მოეთხოვება ასფალტის, ბეტონის, მილების ქარხნების მართვა, გამოცდილება ამ სფეროში მინიმუმ 3-5 წელი, ხელფასი 2000 ლარი doreqtori1@gmail.com
7. **ტექნიკის მართვის მენეჯერი** - საგზაო-სამშენებლო მექანიზმებისა და მანქანა-დანადგარების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, გამოცდილება მინიმუმ 3 წელი, ხელფასი 1500 ლარი. teknikismenejeri@gmail.com
8. **სარემონტო სახელოსნოს უფროსი** - საგზაო-სამშენებლო მექანიზმებისა და მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის კონტროლი, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 5 წელი, ხელფასი 1500 ლარი saxelosno@gmail.com
9. **მძღოლების უფროსი** - 2 ვაკანსია. 850 ლარი, mdzgolebi@gmail.com
10. **ასფალტის სამუშაოთა მწარმოებელი** - 2 ვაკანსია, ხელფასი 1500 ლარი, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 10 წელი aspalti01@gmail.com
11. **ასფალტის დამგები მექანიზმის ოპერატორი** - 5 ვაკანსია, ხელფასი 1500 ლარიდან, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 5 წელი aspalti02@gmail.com
12. **წყლის სანიაღვრე და კანალიზაციის სისტემების ინჟინერი** - , ხელფასი 1500 ლარი, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება ამ სფეროში მინიმუმ 10 წელი wateristem01@gmail.com
13. **წყლის სანიაღვრე და კანალიზაციის სისტემების საქმეთა მწარმოებელი** - 3 ვაკანსია, ხელფასი 1200 ლარი, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება ამ სფეროში მინიმუმ 5 წელი wateristem02@gmail.com

მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (განახლებული)

საქართველო

რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი
კრედიტის ნომერი: N4516 GE
სახანძრო მანქანების შესყიდვა ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის
RMIDP/G/ICB/01-2009

1. წინამდებარე მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე მოჰყვება ზოგად სატენდერო განცხადებას მოცემული პროექტისათვის, რომელიც გამოქვეყნდა Development Business-ის N729 ნომერში 2008 წლის 30 ივნისს.

2. საქართველომ მიიღო კრედიტი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან (IDA) რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისთვის: სახანძრო მანქანების შესყიდვა ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის (კონტრაქტის N RMIDP/G/ICB/01-2009).

3. *საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი* იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ქვემოთ მოცემული სახანძრო მანქანების შესყიდვის მიზნით:

ლოტი N1: სახანძრო მანქანის 6 ერთეული (ტიპი ა“)
ლოტი N2: სახანძრო მანქანის 2 ერთეული (ტიპი ბ“)

მანქანების მოწოდების პერიოდია 2-დან 4 თვემდე.

4. საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში კორექტირებული *„რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში“* აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

5. დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობა შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 17:00 საათამდე *საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის* ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი - ბ-ნი ლაშა გოცირიძე.

6. საკონკურსო წინადადებების წარდგენა შესაძლებელია ერთი (ლოტი 1 ან ლოტი 2), ან ორივე კონტრაქტისათვის (ლოტი 1 და ლოტი 2). თითოეული ლოტისთვის მომზადდება და წარმოდგენილი იქნება ცალკეული საკონკურსო წინადადებები. თითოეული ლოტის შეფასება განხორციელდება ცალკე და კონტრაქტი მიენიჭება კონკურსის იმ მონაწილეს, რომლის საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი იქნება უმცირესი ფასი კონკრეტულ ლოტთან მიმართებაში.

იმ შემთხვევაში, თუ ორივე კონტრაქტთან მიმართებაში (N1 და N2 ლოტებისათვის) უმცირესი ფასის მქონე საკონკურსო წინადადების წარმომდგენი კონკურსის მონაწილე აკმაყოფილებს საკონკურსო მონაცემების კონკურსის მონაწილეთათვის ინსტრუქციების (**ITB) 11.1 (ზ) და 11.1 (თ)** (ი) პარაგრაფებით განსაზღვრულ საერთო კრიტერიუმებს, კონკურსის მონაწილეს მიენიჭება ორივე კონტრაქტი. იმ შემთხვევაში, თუ ორივე კონტრაქტთან მიმართებაში უმცირესი ფასის მქონე საკონკურსო წინადადების წარმომდგენი კონკურსის მონაწილე ვერ დააკმაყოფილებს ზემოთ ხსენებულ საერთო კრიტერიუმებს, დამკვეთის სურვილის შესაბამისად მას მიენიჭება ორიდან ერთი კონტრაქტი, რაც დაფუძნებული იქნება დამკვეთისათვის ხელსაყრელ ეკონომიურ კომბინაციაზე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგს:

კონტრაქტის მისაღებად კონკურსის მონაწილემ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები და წარმოადგინოს ქვემოთ მოცემული მინიმალური მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები:

(a) კონკურსის მონაწილის მინიმალური წლიური ბრუნვის მოცულობა:

1 ლოტისთვის - 0.75 მილიონი აშშ დოლარი ან აღნიშნული თანხის ექვივალენტი ბოლო ხუთი წლის თითოეული წლისათვის;

2-ე ლოტისთვის - 0.25 მილიონი აშშ დოლარი ან აღნიშნული თანხის ექვივალენტი ბოლო ხუთი წლის თითოეული წლისათვის.

(b) კონკურსის მონაწილე ვალდებულია დაამტკიცოს, რომ მას წარმატებით აქვს განხორციელებული უმცირესი ექვივალენტი ღირებულების მინიმუმ ორი (2) კონტრაქტი ბოლო სამი (3) წლის განმავლობაში - თითოეული ლოტისთვის მსგავსი ტექნიკური მახასაიათებლების მქონე სახანძრო მანქანების უზრუნველყოფა.

(გ) იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის მონაწილე კონტრაქტის ფარგლებში გვთავაზობს იმ საქონელის უზრუნველყოფას, რომელსაც კონკურსის მონაწილე არ აწარმოებს ან მიაწოდებს, კონკურსის მონაწილე სათანადოდ უნდა იყოს უფლებამოსილი მყიდველის ქვეყანაში საქონელის უზრუნველყოფაზე საქონელის მწარმოებლის ან მომწოდებელის მიერ;

(დ) საქონელს უნდა ჰქონდეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სერთიფიკატი (ან ხარისხის მართვის სისტემის სათანადო სერტიფიკატი).

პრეფერენციული შეღავათები ქვეყნის შიგნით წარმოებული კონკრეტული საქონლისათვის *„არ იქნება“* გათვალისწინებული. დამატებითი დეტალები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში.

7. დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექი *ინგლისურ ენაზე* ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის ან კონვერტირებად ვალუტაში აღნიშნული თანხის ექვივალენტის გადახდის შემდეგ. აღნიშნულ თანხას ემატება ასევე კურიერის ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ კონკურსის მონაწილე მოისურვებს საკონკურსო დოკუმენტაციის გაგზავნას კურიერის მეშვეობით. მოთხოვნის შემთხვევაში, დოკუმენტაცია სასწრაფოდ გაიგზავნება კურიერის მიერ, თუმცა დაკარგვის და დოკუმენტაციის დანიშნულების ადგილას მიტანის დაგვიანებისათვის მგფ არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს. შეძენილი საკონკურსო დოკუმენტაციის ასლების გაგზავნა კონტრაქტორებისათვის შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

8. საკონკურსო წინადადები ქვემოთ მოცემულ მისამართზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2009 წლის 25 მარტის 15:00 საათისა. ელექტრონული კონკურსი ნებადართული არ არის. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმ კონკურსის მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 25 მარტის 15:00 საათზე. ყველა საკონკურსო წინდადაებას თან უნდა ახლდეს „საკონკურსო წინადადების გარანტია“: 1 ლოტისთვის - 30,000 (ოცდაათი ათასი) ლარის ექვივალენტი ოდენობით, 2-ე ლოტისთვის - 12,000 (თორმეტი ათასი) ლარის ექვივალენტი ოდენობით, ან 42,000 (ორმოცდაორი ათასი) ლარის ექვივალენტი ოდენობით ორივე ლოტისთვის. საკონკურსო წინადადების საგარანტიო განაცხადის წარმოდგენა არ არის გათვალისწინებული.

9. ზემოთ ხსენებული მისამართი:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი
საქართველო, თბილისი, 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი N150
ტელ : +99532 484510, 484511, 484515;
ფაქსი : +99532 484555;

10. საბანკო რეკვიზიტები :

ბანკი „რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი,
გრ. აბაშიძის ქუჩა N2, თბილისი, საქართველო
ბანკის კოდი: 220 101 757
SWIFT: REPLGE22 C/A No.:04-414-550 with
Deutsche Bank Trust Company Americas, NY
SWIFT: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104
სალარე ანგარიშის N: 340 800 01
აშშ დოლარის ანგარიშის N: 341 800 01
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
საიდენტიფიკაციო კოდი: 206074193

სპორტი

ტური - საიუბილეო, შედეგები - ლოგიკური

მიხეილ აბაიშვილი

გოლის ავტორმა, ლუკა რაზმაძემ (მარჯვნივ) "დინამოს" არ მოაგებინა.

ფეხბურთში საიუბილეო მე-20 ეროვნული ჩემპიონატის საიუბილეო მე-20 ტურის მატჩებმა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე 21 თებერვალს ჩატარდა, დაძაბულად ჩაიარა და, ერთი გამონაკლისის გარდა, მოსალოდნელი შედეგებით დასრულდა. სწორედ იმ გამონაკლისსა და ტურის ცენტრალურ მატჩზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას.

ტურის, მეორე წრისა და მთელი ჩემპიონატის გამორჩეული შეხვედრა გორში გაიმართა, სადაც ლიდერმა თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" ჩემპიონსა და მთავარ მდევარს "დინამოს" უმასპინძლა. ამ შეხვედრამდე გუნდებს შორის ქულათა სხვაობა 6 იყო და, იმის გათვალისწინებით, რომ "დინამოს" ერთი გადადებული მატჩი აქვს თადარიგში, ნომინალური სტუმრების წარმატება სატურნირო ვითარებას უკიდურესად დაძაბავდა. თუ "დინამო" გაიმარჯვებდა, დაკარგული ქულების რაოდენობით "ვიტ ჯორჯიას" გაუტოლდებოდა, რაც საჩემპიონო რბოლას ინტრიგას შემატებდა. თუ ვეტერინარები მიაღწევდნენ წარმატებას, სხვაობა 9 ქულამდე გაიზრდებოდა, რაც ვიტელთათვის თითქმის ჩემპიონობას ნიშნავდა. ნესტორ მუმლაძის გუნდს, რომელიც განსაკუთრებული სტაბილურობით გამოირჩევა, ამ სეზონში არც ერთ მატჩში არ დაუკარგავს დაგეგმილი ქულები. სავარაუდოა, რომ ასევე გააგრძელებს ასპარეზობას. მოვლენათა ასეთი განვითარება კი "დინამოს" ტიტულის შენარჩუნების მხოლოდ თეორიულ შანსს თუ დაუტოვებდა. ასეთი პრეისტორია უძღოდა მატჩს, რომელშიც არც ერთი გუნდი არ აპირებდა რაიმეს დათმობას.

შეხვედრა, მნიშვნელობისა და სტატუსის შესაბამისად, დაძაბულად დაიწყო და ეს მუხტი მთელი 90 წუთის განმავლობაში არ განელებულა. ტემპი იმდენად მაღალი იყო, რამდენადაც ამის საშუალებას გორის სტადიონის არცთუ მაღალი ხარისხის საფარი იძლეოდა. მიუხედავად იმისა, რომ უხვგოლიანობა არ აღინიშნა, რაც მოსალოდნელი არც ყოფილა, თამაშმა საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა. დაბალი შედეგიანობის მიუხედავად, როგორც ერთ, ისე მეორე კართან არაერთი საგოლე მომენტი შეიქმნა, გოლი კი მხოლოდ ორი გავიდა. თავიდან "დინამო" უფრო აქტიურობდა. ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეულმა ფეხბურთელმა გიორგი მერებაშვილმა მოხდენილი სოლოდრიბლინგით თავისიანები დააწინაურა. ეს 27-ე წუთზე მოხდა. სტუმრებს მერებაშვილის ლამაზი გოლით ტკბობა მხოლოდ ხუთიოდე წუთს დასცალდათ: 33-ე წუთზე მსაჯმა კვარაცხელიას წაქცევისთვის დინამოელთა გაბონელი მეკარე ოვონო ყვითელი ბარათით, ხოლო "დინამო" პენალტით დასაჯა. ეროვნული ნაკრების საყრდენმა ნახევარმცველმა და "ვიტ ჯორჯიას" კაპიტანმა ლუკა რაზმაძემ ზუსტი დარტყმით მსაჯის განაჩენი სისრულეში მოიყვანა და სტატუს კვო აღადგინა.

მეორე ნახევარში მიზანთან ყველაზე ახლოს იყო შოთა კაშია, რომელმაც მერებაშვილის ფლანგური გარღვევისა და განივი ჩაწოდების შემდეგ პრაქტიკულად ცარიელ კარს ააცილა ბურთი. მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა, რაც, თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, ლოგიკური და ორივე გუნდისთვის მისაღები შედეგია. როგორც "დინამომ", ისე "ვიტ ჯორჯიამ" პროგრამა მინიმუმი შეასრულეს: მთავარ კონკურენტს გამარჯვება და სამი ქულა არ დაანებეს.

ტურის და ალბათ მთელი მეორე წრის ყველაზე სანსაციური შედეგიც გორში დაფიქსირდა, სადაც გამოკვეთილმა აუტსაიდერმა, ბოლო ადგილზე მყოფმა ცხინვალის "სპარტაკმა" ექსჩემპიონის, რუსთავის "ოლიმპის" ძლევამოსილი სვლა შეაჩერა. ამ მატჩამდე ვარლამ კილასონიას გუნდს ზედიზედ 9 შეხვედრაში რვა გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული (მხოლოდ ერთი მატჩი დაასრულა ფრედ, ისიც ლიდერ "ვიტ ჯორჯიასთან"), რისი წყალობითაც სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილიდან მესამე პოზიციამდე ამაღლდა და საჩემპიონო რბოლაში ჩაბმის რეალური პერსპექტივაც გაუჩნდა. თუმცა, გუშინწინდელმა წარუმატებლობამ რუსთაველთა აქციები ისევ დააგდო. ქულის გადარჩენის რა მოგახსენოთ, მატჩი, რომელიც ფრედ - 1:1 დასრულდა, სტუმართა სრული უპირატესობით წარიმართა. თუმცა, ის ფაქტი, რომ "ოლიმპი" მარცხდებოდა და მხოლოდ ანგარიშის გათანაბრება შეძლო, ბევრ რამეზე მეტყველებს. ანგარიში მერაბიშვილმა მე-17 წუთზე გახსნა, რასაც რუსთაველებმა 44-ე წუთზე ბაბუნაშვილის ზუსტი და შედეგიანი დარტყმით უპასუხეს.

ამ წარუმატებლობამ რუსთავის გუნდი ერთი პოზიციით დააქვეითა. გია გეგუჩაძის "ზესტაფონმა" თანდათან დაძლია კრიზისი და კარგ სპორტულ ფორმაში შედის, რაც ამ გუნდის შედეგიანობაზეც აისახება. მართალია, ერთ-ერთ აუტსაიდერთან, "გაგრასთან" მატჩის მოგება, თუნდაც მის მოედანზე, ჯერ ბევრს არაფერს ამბობს, მაგრამ ის, რომ ზესტაფონელებმა ერთ მატჩში სამი გოლი გაიტანეს (ამ ჩემპიონატში შედეგიანობა ნამდვილად არ არის "ზესტაფონის" დამახასიათებელი თვისება), ლიხსიქითელთა ქომაგებს ოპტიმიზმით განაწყობს. ზესტაფონელთაგან თავი გამოიჩინეს ხიდაშელმა, იონანიძემ და გელაშვილმა, ერთი საპასუხო გოლი კი გაგრელი ძაგანიას ანგარიშზეა.

სხვა შეხვედრებიდან გამოსარჩევია ბოლნისის "სიონის" წარმატება. ბოლნისელებმა თბილისის "ლოკომოტივს" უმასპინძლეს და მეტოქე 3:1 დაამარცხეს. მასპინძელთაგან თავი გამოიჩინეს სანიკიძემ, ქელიძემ და გოცირიძემ, ერთადერთი საპასუხო გოლი კი ლოკომოტიველი გილაურის ანგარიშზეა.

მე-20 ტური

ვიტ ჯორჯია - დინამო 1:1
სპარტაკი - ოლიმპი 1:1
გაგრა - ზესტაფონი 1:3
სიონი - ლოკომოტივი 3:1
ბორჯომი - მესხეთი 0:0

ზაზა ფაჩულიამ პორტლანდში თამაში ჩააგდო

დასავლურ ტურნეში მყოფი ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსი" მოგება-წაგებას ერთმანეთს უნაცვლებს. "ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" დამარცხების შემდეგ ჯორჯიელებმა "საკრამენტო კინგზს" სძლიეს, პარასკევს კი "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსთან" 98:108 დამარცხდნენ.

რაც შეეხება ფაჩულიას, ის თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და მოედანზე გატარებულ 15 წუთში ერთი ქულაც ვერ აიღო. მის აქტივში მხოლოდ თითო მოხსნა-ჩაჭრაა, პასიანი კი - ამდენივე შეცდომა და პერსონალური შენიშვნა. ზაზამ ერთადერთი სროლა შეასრულა და ისიც უშედეგო გამოდგა.

არც მის უშუალო კონკურენტს ალ ჰარფორდს გამოუდია თავი - 30 წუთში მხოლოდ 4 ქულა და 6 მოხსნა დააგროვა. ატლანტელთა შორის საუკეთესო იყო მაიკ ბიბი, რომელმაც 27 ქულას მოუყარა თავი. ჯო ჯონსონი გუნდს 21 ქულით, 8 მოხსნითა და 7 შედეგიანი გადაცემით შეეწია.

ახლა "ჰოუქსს" 32 მოგება და 23 მარცხი აქვს და ამ შედეგით სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეორე, ხოლო მთლიანად აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზეა.

ჯორჯიელები დასავლურ ტურნეში კიდევ ორ მატჩს (23-ში "იუტასთან" და 25-ში "დენვერთან") გამართავენ, რის შემდეგაც, 27 თებერვალს, საკუთარ "ფილიპს არენაზე" "ჩიკაგო ბულზს" უმასპინძლებენ.

ნინო სალუქვაძემ სეზონი ვერცხლით დაიწყო

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ნაკრებს პირველი მედალი ტყვიის მსროლელმა ნინო სალუქვაძემ მოუტანა. სეზონის პირველ წარმატებასაც ნინო სალუქვაძემ მიაღწია. ტყვიის სროლაში პრაღაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა, საქართველოს ქალ ტყვიის მსროლელთა ნაკრების ლიდერმა ნინო სალუქვაძემ 10 მ. პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

საკვალიფიკაციო ეტაპზე სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა სალუქვაძემ 384 ქულა მოაგროვა და უპრობლემოდ გავიდა ფინალში. დასკვნით სტადიაზე ქართველმა მსროლელმა საკვალიფიკაციო შედეგს 100,4 ქულა შემატა და ჯამში 484,4 ქულა დააგროვა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ვერცხლის მედალი მას რგებოდა. სალუქვაძე მხოლოდ ბულგარელ მარია გროზდევას ჩამორჩა - მან 487,4 ქულა დააგროვა და ევროპის ჩემპიონი გახდა. მესამე ადგილი ჩეხ ლენკა მარუსკოვას დარჩა.

ჩემპიონატი წარუმატებელი გამოდგა საქართველოს ნაკრების სხვა წევრებისთვის. თამილა ასათიანმა საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ დაძლია. ნინო უჩაძემ პირველი ეტაპი კი გაიარა, მაგრამ ფინალში ქულათა საჭირო რაოდენობას ვერ მოუყარა თავი და ლიდერთა მიღმა აღმოჩნდა - მე-14 ადგილი.

საქართველოს ნაკრები შინ დღეს დაბრუნდება.

მუჭირის დუბლი

იტალიაში საწვრთნელ შეკრებას აგრძელებს მოსკოვის "ლოკმოტივი", რომელიც მესამე დივიზიონის გუნდს "ჩელანოს" დაუპირისპირდა. თამაში რუსი რკინიგზელების სრული უპირატესობით წარიმართა და დასრულდა მათივე გამარჯვებით 8:0. მატჩის მე-20 და 49-ე წუთებზე ორი გოლი მიითვალა გუნდის ქართველმა ნახევარმცველმა დათო მუჯირმა, რომელიც მთავარმა მწვრთნელმა რაშიდ რახიმოვმა მატჩის 68-ე წუთზე შეცვალა.

წარმატებული ტური აზერბაიჯანში

გაიმართა აზერბაიჯანის ჩემპიონატის მე-15 ტურის მატჩები, რომლებიც ქართველი ფეხბურთელებისთვის წარმატებული გამოდგა. აწ უკვე ჩემპიონატის ლიდერმა ბაქოს "ბაკი" საკუთარ მოედანზე "ნეფტჩის" უმასპინძლა და 2:0 გაიმარჯვა. ანგარიში ამირან მუჯირმა გახსნა, რომელმაც მეორე ტაიმის პირველივე შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში კარგად ითამაშა. ამ მოგების შემდეგ "ბაკი" ჩემპიონატის ლიდერი გახდა და ხვალ მოთამაშე თანაქალაქელ "ინტერს" ერთი ქულით უსწრებს. საკუთარ მოედანზე ასევე 2:0 გაიმარჯვა თორნიკე აფციაურისა და გოგა ბერაიას "გაბალამ". ანგარიში ამ შეხვედრაშიც ქართველმა გახსნა - თორნიკე აფციაურის დარტყმის შემდეგ ბურთი ჯერ "მოიკის" კარის ძელს მოხვდა და შემდეგ გავიდა გოლი. 15 თამაშის შემდეგ "გაბალა" 18 ქულით ცხრილის მეცხრე ადგილზეა. საკუთარ მოედანზე მარცხი განიცადა ალექსანდრე გოგობერიშვილისა და რომან ახალკაცის "ოლიმპიკმა". ყოფილ კლუბ "ყარაბაღთან" შეხვედრაში გოგობერიშვილი ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა და პირველი ტაიმის ბოლოს ყვითელი ბარათი მიიღო. ახალკაცი კი მოედანზე შეხვედრის მიწურულს გამოჩნდა, მაგრამ გუნდი მარცხისგან ვერ იხსნა. "ოლიმპიკი" 25 ქულით ცხრილის მეშვიდე საფეხურზეა და ევროპის ლიგაზე გამსვლელ მესამე ადგილთან ექვს ქულას აგებს.

ჩახნაშვილი უტიტულოდ დარჩა

ქართველი ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი აშშის ქალაქ სურპრაიზში მიმდინარე ტურნირზე გადამწყვეტ მატჩებამდე ვერ მივიდა. ერთეულთა ტურნირის ძირითად ბადეში მაკამ ორი გამარჯვება იზეიმა, მეოთხედფინალში კი უკრაინელ იული ვაკულენკოსთან 5:7, 4:6 დამარცხდა.

წყვილთა გათამაშების ნახევარფინალში მე-3 ნომრად განთესილმა ჩახნაშვილმა და არგენტინელმა ირიგოენმა მე-2 რეიტინგის მქონე არგენტინელ კრავეროსთან და რუს ივანოვასთან 1:6, 0:6 წააგეს. სურპრაიზის საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარი იყო.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აცხადებს ტენდერს სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ორ ლოტად

I ლოტი - სატელევიზიო აუდიტორიის კვლევა ფიფლმეტრული მეთოდით. კვლევა უნდა მოიცავდეს თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებს, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, პროპორციული განაწილების პრინციპით. სატელევიზიო არხების რეიტინგების გაზომვა და მონიტორინგი, რაც მომხმარებელს საშუალებას მისცემს გაანალიზოს, როგორც სატელევიზიო არხის/სივრცის დროითი სეგმენტები, ასევე ცალკეული გადაცემები.

II ლოტი - ანკეტური კვლევა, სატელევიზიო ბაზრის შესწავლა, საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევა ინტერვიუს და წინასწარ შედგენილი კითხვების შესაბამისად: (არხების ყურების სიხშირე, ლოიალობის განმსაზღვრელი ფაქტორები (არხი, გადაცემა, ჟურნალისტები. სატელევიზიო არხების ყურადობის ხვედრითი წილი).

შენიშვნა: დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადა: 2009 წლის 1 აპრილიდან - 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 23 თებერვლიდან - 2009 წლის 16 მარტის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის'' შესყიდვების ჯგუფი. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, რეკვიზიტები: მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგ. N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი N220101222, სახაზინო კოდი N302008000;

გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის მომსახურების შესყიდვის ტენდერი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (2585). (გადახდის დანიშნულება მითითებული უნდა იყოს სრულად).

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 16 მარტის 13:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესყიდვების ჯგუფი. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

7.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნათია ზამთარაძე, ტელ: (995-32) 40-91-45, ან მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის'' შესყიდვების ჯგუფი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ
1. სსიპ სენაკის ბავშვთა სახლი აცხადებს ტენდერს კვების პროდუქტების შესყიდვაზე

	ასახ-ელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	მიწოდების ადგილი	მიწოდების გრაფიკი
1	პური	კგ	15288	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
2	ძვლიანი ხორცი	კგ	362	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
3	მწვანე ხორცი	კგ	870	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
4	თევზი	კგ	363	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
5	ქათამი	კგ	1088	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
6	რძის ფხვნილი	კგ	1529	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
7	კომბოსტო	კგ	544	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
8	სტაფილო	კგ	217	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
9	ჭარხალი	კგ	217	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
10	კარტოფილი	კგ	2176	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
11	ხახვი	კგ	765	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
12	ნიორი	კგ	128	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
13	ნაი	კგ	77	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
14	მწვანილი	კგ	255	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
15	უცხოსუნელი	კგ	26	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
16	მარილი	კგ	255	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
17	შაქარი	კგ	2293	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
18	მანი	კგ	725	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
19	ბრინჯი	კგ	344	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
20	მაკარონი	კგ	590	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
21	წიწიბერა	კგ	435	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
22	ლობიო	კგ	255	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
23	ზეთი	ლ	382	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
24	კარაქი	კგ	308	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
25	ხოხობი	კგ	544	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
26	ძეხვი	კგ	544	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
27	ხალვა	კგ	290	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
28	არაჟანი	კგ	218	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
29	ხაჭოსელე	ლ	382	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
30	კიტრი	კგ	255	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
31	პომიდორი	კგ	255	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
32	ბალრიჯანი	კგ	127	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
33	ჭეინტი ლობიო	კგ	127	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
34	ლობიო	კგ	580	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
35	დერდილი	კგ	363	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
36	სიმინდის ფქვილი	კგ	181	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
37	პურის ფქვილი	კგ	390	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
38	მაიონეზი	კგ	145	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
39	შავი წიწაკა	კგ	7	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
40	ყველი	კგ	218	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
41	მაკარონი	კგ	36	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
42	ბარდა	კგ	36	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
43	სახამთრო	კგ	2352	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
44	ვაშლი	კგ	980	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
45	მსხალი	კგ	392	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
46	კვერცხი	ც	7252	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
47	ნაყინი	ც	7056	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
48	კაკაო	კგ	7.5	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
49	ნიგოზი	კგ	34	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
50	ქიშმიში	კგ	79	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად
51	ინდაურის ხორცი	კგ	30	კობახიძის ქ.№9	მოთხოვნილების შესაბამისად

2. მიწოდების დასრულების საბოლოო ვადაა 2009 წლის 31 დეკემბერი.

3. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს:

იურიდიულ პირთათვის:

1. ცნობა სოჯარო რეესტრის სააგენტოდან. მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სხვა სანქციის საქმის წარმოება.
3. ცნობა საგადასახლო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება მიხი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
4. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მის ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე, მათ ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ფიზიკურ პირთათვის:

1. ცნობა შესაბამისად სამედიცინო დაწესებულებიდან მის ქმედუუნარობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მის ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისთვის;

1. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირთათვის ინფორმაციის წარმოდგენა უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ, ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მოწოდების შესახებ.
2. ინფორმაცია, ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.
3. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
4. ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ცალმხრივ აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, საბჭოსთან კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

5. საბუნდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ (სსიპ. სენაკის ბავშვთა სახლი ანგ. 34081013 სწ 23987509 ბანკი. სენაკის სახალხო ბანკის ფილიალი ბ/კ 220101450

საბუნდერო დოკუმენტაციის პაკეტი ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 24-თებერვლის 10 საათიდან 2009 წლის 15 მარტის 18 საათამდე. შემდეგ მისამართზე ქ. სენაკი, კობახიძის ქ №9.

სატენდერო აპარატი:

6. პრეტენდენტის საბუნდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი იქნას საბუნდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 24-თებერვლის 10 საათიდან 2009 წლის 15-მარტის 18 საათამდე. ტენდერი ჩატარდება 2009 წლის 16-მარტს, 12 საათიდან 18 საათამდე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე :

ქ. სენაკი კობახიძის ქ №9. ტელ: 7-44-40 899-98-42-82

გთხოვთ, ეს დოკუმენტი შესყიდვების შესახებ გამოქვეყნებულ იქნეს დღესვე.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

დუშეთის რაიონის ბაზალეთის პანსიონატში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები

სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/24-2009

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს **დუშეთის რაიონის ბაზალეთის პანსიონატში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე** (ტენდერის ნომერი: **SB/IDP/CW/24-2009).**

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილოების მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

ბანკი „რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2, თბილისი, საქართველო

ბანკის კოდი: 220 101 757

სალარე ანგარიშის N: 340 800 01

საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და წერილობითი განაცხადის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე, დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 23 თებერვლიდან 10:00 საათიდან 12 მარტის 17:00 საათამდე.

3. შესყიდვის საგანი:

დუშეთის რაიონის ბაზალეთის პანსიონატის 7 სართულიანი კორპუსის „გ“ ბლოკში და 4 სართულიან კორპუსში განთავსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების რემონტი:

ბაზალეთის პანსიონატის 4 სართულიანი კორპუსის სარემონტო სამუშაოები მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- არსებული დაზიანებული ხის კარ-ფანჯრების შეცვლას მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებით - 406 კვ/მ;
- პარკეტის იატაკის შეკეთებას - 80 კვ/მ;

ახალი ელექტროსანათების, შტეფსელების და ჩამრთველების მონტაჟს - სულ 428 ცალი.

ბაზალეთის პანსიონატის 7 სართულიანი კორპუსის „გ“ ბლოკის სარემონტო სამუშაოები მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- არსებული დაზიანებული ხის კარ-ფანჯრების შეცვლას მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებით - 528 კვ/მ;
- დაზიანებული, წყალგაყვანილობის და კანალიზაციის სისტემის აღდგენას
- იატაკის დაზიანებული ადგილების შეკეთებას - 79 კვ/მ
- ტიხრების მოწყობას სამშენებლო ბლოკით თაბაშირ-მუყაოს ფილებით - 178 კვ/მ
- ელექტრო სადენების შეცვლას - 1400 გრძ.მ
- ახალი ელექტროსანათების, შტეფსელების და ჩამრთველების მონტაჟს - სულ 140 ცალი.

სამუშაოების სასურველი ვადა შეადგენს 3 თვე.

დეტალები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

- პრეტენდენტის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
- ინფორმაცია პრეტენდენტის სამუშაო გამოცდილების შესახებ - პრეტენდენტს ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ 1 მსგავსი მოცულობისა და სირთულის სამუშაო. სამუშაოთა მოცულობა და სირთულე შედარებული იქნება ამ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებთან და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 70%-ს ფულად გამოსახულებაში (სუბკონტრაქტორის მიმართ აღნიშნული მოთხოვნა განისაზღვრება მისთვის გადასაცემი სამუშაოების ღირებულების პროპორციულად).
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების წლიური ბრუნვის შესახებ - ბოლო 3 წლის საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული მოგება-ზარალის უწყისები და საწარმოს ბალანსები. პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს მინიმუმ **3,6 მლნ.** ლარს (სუბკონტრაქტორის მიმართ აღნიშნული მოთხოვნა განისაზღვრება მისთვის გადასაცემი სამუშაოების ღირებულების პროპორციულად. თუმცა, არ მოხდება პრეტენდენტისა და სუბკონტრაქტორის ბრუნვების დაჯამება).

5. დაფინანსების წყარო: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

6. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და იხილონ საკონკურსო დოკუმენტები მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 23 თებერვლიდან, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

7. სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია ტენდერის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში.

8. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმის მიხედვით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

9. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ერთ დალუქულ კონვერტში **2009 წლის 13 მარტის 12:00 საათამდე**, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

10. სატენდერო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2009 წლის 13 მარტის 12:00 საათზე**, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

11. 2009 წლის 13 მარტის 12:00 საათის შემდეგ შემოსული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი
მისამართი: მესამე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო,
ტელ: +995 32 48 45 09; 48 45 10; 48 45 11; 48 45 15
ფაქსი: +995 32 48 45 55
ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge
ინტერნეტ-გვერდი: www.mdf.org.ge

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. ხონში სამხედრო დასახლებაში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოები

სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/26-2009

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს **ქ. ხონში სამხედრო დასახლებაში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე** (ტენდერის ნომერი: **SB/IDP/CW/26-2009).**

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილოების მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

ბანკი „რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2, თბილისი, საქართველო

ბანკის კოდი: 220 101 757

სალარე ანგარიშის N: 340 800 01

საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და წერილობითი განაცხადის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე, დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 23 თებერვლიდან 10:00 საათიდან 12 მარტის 15:00 საათამდე.

3. შესყიდვის საგანი:

ქ. ხონში სამხედრო დასახლებაში მდებარე იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე

ლოტი N1

ქ. ხონში სამხედრო დასახლებაში იძულებით გადააგილებულ პირთათვის საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია (4 სართულიანი, 4 სადარბაზოიანი N89, N97, N102, N104 სახლები), საერთო ფართი - 7462მ2 - SB/IDP/CW/26-2009-L1

სამუშაოების სასურველი ვადა შეადგენს 6 თვეს თითო ლოტზე.

ლოტი N2

ქ. ხონში სამხედრო დასახლებაში იძულებით გადააგილებულ პირთათვის საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია (4 სართულიანი, 4 სადარბაზოიანი N98, N99, N101 სახლები), საერთო ფართი - 6327მ2 - SB/IDP/CW/26-2009-L2

სამუშაოების სასურველი ვადა შეადგენს 6 თვეს თითო ლოტზე.

თითო ლოტზე შესასრულებელი სამუშაოები მოიცავს შემდეგს:

- დაზიანებული სახურავის მოხსნას და აღდგენას;
- არსებული ტიხრების მოხსნას და ახლების მოწყობას;
- ჭერის და კედლების შელესვას და შეღებვას;
- მეტალოპლესტმასის კარ-ფანჯრების მონტაჟს;
- სანიტარულ კვანძებში კერამიკული ფილის გაკვრას კედლებზე და მეტლახის ფილების მოწყობას ძირზე;
- იატაკის მოწყობას ლამინირებული პარკეტით;
- ხის კარებების მოწყობას;
- შიდა და გარე წყალსადენის და კანალიზაციის სისტემის მოწყობა-აღდგენას სანიტარულ კვანძში;
- შიდა ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებს;
- ფასადის აღდგენას;
- და სხვა მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს

დეტალები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
- ინფორმაცია პრეტენდენტის სამუშაო გამოცდილების შესახებ - პრეტენდენტს ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ 1 მსგავსი მოცულობისა და სირთულის სამუშაო. სამუშაოთა მოცულობა და სირთულე შედარებული იქნება ამ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებთან და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 70%-ს ფულად გამოსახულებაში (სუბკონტრაქტორის მიმართ აღნიშნული მოთხოვნა განისაზღვრება მისთვის გადასაცემი სამუშაოების ღირებულების პროპორციულად).
- ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების წლიური ბრუნვის შესახებ - ბოლო 3 წლის საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული მოგება-ზარალის უწყისები და საწარმოს ბალანსები. პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს მინიმუმ **12,6 მლნ.** ლარს ლოტზე N1 და 11,1 მლნ. ლარს - ლოტზე N2 (სუბკონტრაქტორის მიმართ აღნიშნული მოთხოვნა განისაზღვრება მისთვის გადასაცემი სამუშაოების ღირებულების პროპორციულად. თუმცა, არ მოხდება პრეტენდენტისა და სუბკონტრაქტორის ბრუნვების დაჯამება).

5. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან ორი გამარჯვებული თითოეულ ლოტზე ცალცალკე ან ერთობლივად ყველა ლოტზე.

6. დაფინანსების წყარო: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

7. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და იხილონ საკონკურსო დოკუმენტები მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2009 წლის 23 თებერვლიდან, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

8. სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია ტენდერის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში.

9. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმის მიხედვით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ერთ დალუქულ კონვერტში **2009 წლის 13 მარტის 16:00 საათამდე**, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

11. სატენდერო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2009 წლის 13 მარტის 16:00 საათზე**, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

12. 2009 წლის 13 მარტის 16:00 საათის შემდეგ შემოსული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი

მისამართი: მესამე სართული, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, 0112, თბილისი, საქართველო,
ტელ: +995 32 48 45 09; 48 45 10; 48 45 11; 48 45 15
ფაქსი: +995 32 48 45 55
ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge
ინტერნეტ-გვერდი: www.mdf.org.ge

ჰიონესს ფიოლერი შეცვლის?

გერმანულმა გაზეთებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ, მას შემდეგ, რაც მიუნხენის "ბაიერნის" მენეჯერი ული ჰიონესი კლუბის იერარქიაში ერთი საფეხურით ზევით გადაინაცვლებს და პრეზიდენტის თანამდებობას დაიკავებს, მისი მემკვიდრე გახდება ლევერკუზენის "ბაიერის" სპორტული დირექტორი რუდი ფიოლერი. გაზეთების ცნობით, მხარეები ერთმანეთს უკვე შეხვდნენ. მიუნხენელების პირველი მცდელობა, სახელიანი ფეხბურთელი და გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გადაებირებინათ, უშედეგოდ დასრულებულა. თუმცა ფიოლერს, რომელსაც "ბაიერში" ეს თანამდებობა 2005 წლიდან უკავია და, კონტრაქტის მიხედვით, იქ 2010 წლის ზაფხულამდე უნდა დარჩეს, თურმე მაინცდამაინც კატეგორიული უარი არ უთქვამს. "ამ თანამდებობაზე ისეთი კაცია საჭირო, ვისაც ნებისმიერი მოთამაშისთვის ექნება იმის თქმის უფლება: "ეს რას ჰგავს, რა უჯიგროდ თამაშობ," - ფიქრობს მიუნხენური კლუბის გამგეობის თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე, - ული ასე არაერთხელ მოქცეულა."

ფიოლერს, რომელიც, როგორც მოთამაშე, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ხოლო, როგორც მწვრთნელი, მსოფლიოს 2002 წლის ვერცხლის მედალოსანია - გერმანიის საფეხბურთო თემში ქარიზმატულ პიროვნებად ითვლება და დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ისეთით, რუმენიგეს მიერ აღწერილ ტიპს რომ მოეთხოვება.

უარი ქალაქელებს

ფრანგული "ლიონის" პრეზიდენტი ჟან მიშელ ოლა გამოტყდა, რომ იანვრის სატრანსფერო პერიოდში უარით გაისტუმრა "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელები, რომლებიც 20 წლის კარიმ ბენზემას სანაცვლოდ ზღაპრულ თანხას სთავაზობდნენ.

"ზოგიერთი შანსი მეორედ აღარ ჩნდება. ჩვენს "პროდუქტს" მყიდველი აშკარად არ აკლია. ფეხბურთელების გაყიდვა სტრატეგიული გადაწყვეტილებაა, რომელსაც შესაფერისი დრო უნდა შეურჩიო. იანვარში "მანჩესტერ სიტის" მესვეურები დაგვიკავშირდნენ და ბენზემას სანაცვლოდ დიდი თანხა შემოგვთავაზეს, მაგრამ ისინი მაინც უარით გავისტუმრე. იმ მომენტში ასე ჩავთვალე საჭიროდ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კარიმის შეძენა ასევე "ბარსელონას", "რეალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" სურთ", - აღნიშნა ოლამ.

სამშაბათს "ლიონი" ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში "ბარსელონას" უმასპინძლებს, კლუბს, რომლის შეფებიც საკმაო ხანია ფრანგული გრანდის ახალგაზრდა ფეხბურთელის ნიჭს ღირსეულად აფასებენ. კატალონიელთა შეხვედრებში კი ბენზემას თავისი ვარსკვლავური სტატუსის გამყარების შესანიშნავი შანსი მიეცემა.

ასეთი აჟიოტაჟის მიუხედავად, ფეხბურთელი კომენტარისგან თავს იკავებს:

"კლუბიდან ჩემი წასვლა-არწასვლის საკითხი მთავარ თემად არ უნდა იქცეს. მე უდიდესი კლუბის წევრი ვარ. სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით წასვლაზე საერთოდ არ ვფიქრობ და მთლიანად "ლიონზე" ვარ კონცენტრირებული. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. შესაძლოა, "ბარსასთან" მატჩებმაც ბევრ კითხვას გასცეს პასუხი", - ამბობს ფრანგული კლუბის თავდამსხმელი.

ტევესს იმედი დაეკარგა

"მანჩესტერ იუნაიტედის" არგენტინელი ფორვარდის კარლოს ტევესის აგენტმა კია ჯურაბჩიანმა განაცხადა, რომ ის და მისი კლიენტი სხვა კლუბების შეთავაზებების განხილვისთვის მზად არიან. საფეხბურთო აგენტმა ეს განცხადება Daily Star-თან საუბრის დროს გააკეთა.

რატომ "სხვა კლუბები" და არა კვლავ "მანჩესტერი"? საქმე ის არის, რომ სეზონის ბოლოს ტევესის საიჯარო ხელშეკრულებას ვადა ეწურება. გაფორმებულ კონტრაქტში კი თავიდანვე გარკვევით ეწერა - თუ "იუნაიტედს" არგენტინელის შენარჩუნების სურვილი გაუჩნდებოდა, 2009 წლის იანვარში ინგლისელებს ტევესის ტრანსფერის 34 მილიონ გირვანქად გამოსყიდვის უფლება ეძლეოდათ. ამ პერიოდმა ისე ჩაიარა, რომ "მანჩესტერმა" თავისი პრიორიტეტული უფლების გამოყენება არ ისურვა.

ზემოთქმულიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება - სერ ალექს ფერგიუსონს დიდად არ ხიბლავს არგენტინელი ფეხბურთელი, უფრო სწორად, ისე არ ხიბლავს, რომ კლუბის ხელმძღვანელობას მის სანაცვლოდ ასეთი თანხის გადახდა სთხოვოს.

"კარლოსი ახლა, პრაქტიკულად, სატრანსფერო ბაზარზე იმყოფება, "მანჩესტერი" კი მის შესანარჩუნებლად არაფერს აკეთებს. ასე რომ, იძულებული ვართ, სხვა კლუბების შეთავაზებები განვიხილოთ. რაც შეეხება "იუნაიტედს", მას ტევესთან კიდევ ერთი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების უფლება აღარა აქვს", - ამბობს ჯურაბჩანი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სეზონის დასრულების შემდეგ, მას შემდეგ, რაც სამხრეთამერიკელის იჯარას ვადა გაუვა, ფეხბურთელისთვის ბრძოლაში მილანის "ინტერი" და მადრიდის "რეალი" ჩაერთვებიან.

ბორჯღალოსნებს ესპანეთში წაფორხილების უფლება არა აქვთ

გორგოძეს და კომპანიას "ესტადიო უნივერსიტარიოზე" დიდი ჭახი ელით

28 თებერვალს მადრიდში, "ესტადიო უნივერსიტარიოზე", საქართველოს მორაგბეთა ეროვნული გუნდი ერთა თასის მორიგ მატჩს გამართავს და ესპანეთის ნაკრებს დაუპირისპირდება.

გასულ წელს "ბორჯღალოსნები" ესპანეთში დამარცხდნენ და ახლა რევანშის აღებას აპირებენ, თუმცა რევანშს რომ თავი დავანებოთ, "ბორჯღალოსნებს" ესპანელთა დამარცხება სატურნირო თვალსაზრისითაც ძალიან სჭირდებათ.

14 თებერვალს თბილისში პორტუგალიასთან ფრედ - 20:20 დასრულებული შეხვედრის შემდეგ "ბორჯღალოსნებს" "ერთა თასის" შესანარჩუნებლად და, რაც მთავარია, 2011 წლის ახალი ზელანდიის საგზურის პირდაპირ მომტანი პირველი ან მეორე ადგილის დაკავებისთვის ქულათა დაკარგვის უფლება აღარა აქვთ. მართალია, ახალი ზელანდიის საგზურისთვის ბრძოლა "ერთა თასზე" მე-3 ადგილის აღებითაც შეიძლება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გუნდს გზა უმრუდდება, რეპეშაჟში ჩაბმა მოუწევს, იქ კი, კაცმა არ იცის, რა მოხდება და მისი გადალახვის შემთხვევაშიც, უშუალოდ მსოფლიო თასზე, უარეს ჯგუფში თამაში მოუწევს.

ტიმ ლეინმა უკვე გამოაქვეყნა იმ მორაგბეთა სია, რომელნიც ესპანეთში გაემგზავრებიან.

გერმანიისა და პორტუგალიის მატჩებისგან განსხვავებით, 24-კაციან სიაში ვერ მოხვდნენ ირაკლი გიორგაძე და მერაბ კვირიკაშვილი (ეს უკანასკნელი საქართველოს 7-კაცა ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე საასპარეზოდ შეუერთდება). მათ ნაცვლად ლეინმა უხმო თბილისის "ლელოს" უკანახაზელ ალექსანდრე თოდუას და ფრანგული "აჟენის" შერკინების ბურჯს ანტონ ფეიქრიშვილს, რომელიც საკუთარი კლუბის შემადგენლობაში Pro D2-ში სისტემატურად თამაშობს, ეროვნულ გუნდში კი აქამდე მხოლოდ ორი მატჩი აქვს ჩატარებული.

ქართველი მორაგბეები 22 თებერვლიდან საფრანგეთის ქალაქ კანში ადგილობრივი გუნდის ბაზაზე გაივლიან მზადებას. იქ 26 თებერვლამდე დარჩებიან, მერე კი ესპანეთისკენ აიღებენ გეზს.

ამ უქმეებზე ერთა თასის გათამაშების ერთი მატჩი გაიმართა. პორტუგალიის ნაკრებმა ლისაბონში გერმანიის ნაკრები 44:6 დაამარცხა და სულ რაღაც ერთი კვირით გათამაშების სათავეში მოექცა.

ქულათა დარიცხვის სისტემის მიხედვით, "ერთა თასზე" გამარჯვებული გუნდი 3 ქულას იღებს, ფრეზე მას 2, მარცხისთვის კი 1 ქულა ეწერება. ერთი კვირის თავზე პორტუგალია, სულ მცირე, ორი საფეხურით დაქვეითდება, რადგან რუსეთისა და რუმინეთის ნაკრებები ერთმანეთს ეთამაშებიან და ორივე მათგანი "ლობუშს" აუცილებლად გაასწრებს. იმედია, 28 თებერვალსვე საქართველოს ნაკრები მადრიდში ესპანეთს დასცემს და ამ გზით პორტუგალიასაც უკან მოიტოვებს და რუმინეთ-რუსეთს შორის დამარცხებულ გუნდსაც. ბუქარესტში ფრის შემთხვევაში კი პირველ საფეხურზე ავა.

გერმანელებმა პორტუგალიაში მოპოვებული თავის წილი ქულები ტაიმების დასაწყისში გატანილი ჯარიმებით მოაგროვეს. სხვა მხრივ კი, ერთი კვირის წინ თბილისში ფრის მიღწევით აღფრთოვანებულმა "ლობუშმა" სტუმართა გუნდი ყველანაირად დაჯაბნა. პირველ ხუთ წუთში გუნდებმა ჯარიმები გაცვალეს, მე-11 და მე-17 წუთებზე კი მასპინძლებმა ლელოები გაიტანეს, გარდასახვებიც ზუსტად შეასრულეს და 17:3 დაწინაურდნენ. 36-ე წუთზე "ლობუშმა" კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანა და ტაიმი 20:3 მოიგო.

მეორე ნახევრის დასაწყისში მასპინძლები მოედანზე 10 წუთით კაცნაკლულნი დარჩნენ, რითაც გერმანელებმა ისარგებლეს და ჯარიმით სხვაობა შეამცირეს (6:20), მაგრამ პორტუგალიელებმა მათ ეს არ აპატიეს - 58-ე წუთზე ჯარიმით პირველი ტაიმის სხვაობა აღადგინეს. 64-ე, 72-ე და მე-80 წუთებზე კი სტუმრებს სამი ლელო დაუდეს, სამივე გარდასახვა ზუსტად შეასრულეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს.

გთავაზობთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობას.

ლეინმა შემდეგ მორაგბეებს უხმო: გოდერძი შველიძე ("მონტობანი", საფრანგეთი, 48 კეპი), დავით ხინჩაგაშვილი ("ბრივი", საფრანგეთი, 20), დავით ქუბრიაშვილი ("ტულონი", საფრანგეთი, 6), აქვსენტი გიორგაძე ("კასტრი", საფრანგეთი, 53), ირაკლი ნატრიაშვილი ("ფარულ კონსტანცა", რუმინეთი, 12), ილია ზედგინიძე ("ექს-ან-პროვანსი", საფრანგეთი, 51), ლევან დათუნაშვილი ("ორიაკი", საფრანგეთი, 24), კახა უჩავა ("ფარულ კონსტანცა", რუმინეთი, 10), მამუკა გორგოძე ("მონპელიე", საფრანგეთი, 31), რატი ურუშაძე (უკლუბო, 33), გიორგი ჩხაიძე ("მეტრო-რასინგი", საფრანგეთი, 31), დიმიტრი ბასილაია ("მორლე", საფრანგეთი, 9), გია ლაბაძე ("ტულონი", საფრანგეთი, 49), ირაკლი აბუსერიძე ("ორლეანი", საფრანგეთი, 56), ბიძინა სამხარაძე ("ფარულ კონსტანცა", რუმინეთი, 40), ლაშა მალაღურაძე ("ბეზიე", საფრანგეთი, 12), ალექსანდრე თოდუა ("ლელო", თბილისი, 3), ანტონ ფეიქრიშვილი ("აჟენი", საფრანგეთი, 2), თედო ზიბზიბაძე ("პერიგო", საფრანგეთი, 39), ირაკლი ჩხიკვაძე ("აია", ქუთაისი, 12), დავით კაჭარავა (უკლუბო, 23), ოთარ ბარკალაია (ანდორა, 35), გიორგი შკინინი ("ხულიგანა", თბილისი, 31), ირაკლი მაჩხანელი ("აჟენი", საფრანგეთი, 30).

მთავარი მწვრთნელი: ტიმ ლეინი

შერკინების მწვრთნელი: დემიენ ქამინზი

ფიზმომზადების მწვრთნელი: ჯონი ნამუ

ცირეკიძემ დებიუტი ბრინჯაოთი აღნიშნა

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ჰამბურგის სუპერთასს 8-კაციანი შემადგენლობით ეწვია, მაგრამ წარმატებას მხოლოდ ერთმა მიაღწია. აღსანიშნავი კი ისაა, რომ მედალს ხელი გამოვკარით 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში. ანუ, იქ სადაც მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე ცდიდა სკუთარ ბედს. საქმე ისაა, რომ ტიტულოვანმა ქართველმა პეკინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ კარიერის გაგრძელება 90-ის ნაცვლად 100 კილოგრამში გადაწყვიტა. ეგაა, ახალ წონაში დებიუტი გუშინდლამდე არ ჰქონია.

გერმანიის სუპერ თასზე ცირეკიძემ გერმანელთა ჯილა დიმიტრი პეტერსის ძლევით გახსნა. შემდეგ ზედ სამხრეთკორეელი ჩეონ ჩოი მიაყოლა. პეტერსსაც და ჩოისაც ცირეკიძემ 4-4 წუთში მოუმთავრა საქმე. მეოთხედფინალში 2008 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი გამოცდილ ჰოლანდიელს, ელკო ვან დერ ხესტს დაუპირისპირდა და მასაც იპონით გაუსწორდა, ნახევარფინალში კი, კიდევ ერთ ჰოლანდიელთან, ევროპის მოქმედ ჩემპიონ ჰენკ გროლთან დამატებით დროში